პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
შაბათი
4 აგვისტო
№ 180 (17525)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქმემ გამოაჩინა

ქუმკაავშირელი თალიკო დემურია 5 წელია, რაც სკოლის დამთავრების შემდეგ ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის მკრეფავად მუშაობს.

ახალგაზრდა მეჩაიე თავისი შრომითი მაჩვენებლებით დროს უსწრებს. მას დღეისათვის უკვე მოკრეფილი აქვს 12 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, რითაც ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და 1980 წლის ანგარიშში მუშაობს. იგი იმისათვის იბრძვის, რომ ვადაზე ადრე შეასრულოს პირადი ხუთწლიანი გეგმა.

სურათზე: ქოწინავე მეჩაიე თალიკო დემურია.

ა. სააკოვის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ მიმდინარე წლის დავალებათა უთუო შესრულებას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგებისა და 1979 წლის დამთავრების ამოცანების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ნახევარი წლის დავალება შეასრულა 101,4 პროცენტით, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა — 101,6 პროცენტით. 1978 წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოების მოცულობის მატების ტემპმა შეადგინა 6,7 პროცენტი, შრომის ნაყოფიერებისამ — 5,8 პროცენტი.

ამავე დროს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, გაერთიანებების, მშენებლობების სამეურნეო საქმიანობაში გამოვლენილია სერიოზული ნაკლოვანებანი.

წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით არ არის მიღწეული სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი, რაც განსაზღვრულია წლიური გეგმითა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებებით. განსაკუთრებით მკვეთრად შენელდა ზრდის ტემპი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და გაერთიანებებში, რამაც წარმოების მოცულობა 1979 წლის ექვს თვეში მხოლოდ 4,4 პროცენტით გაადიდა წლიური დავალებით გათვალისწინებული 7,1 პროცენტის ნაცვლად. ამ მაჩვენებლის მიხედვით ძლიერ ჩამორჩნენ საწარმოები, რომლებიც შედიან ენერგეტიკის, ქიმიური მრეწველობის, ელექტროტექნიკური მრეწველობისა და სხვა სამინისტროების სისტემაში.

წინა თვეებთან შედარებით ერთგვარი შემცირების მიუხედავად ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია ჩამორჩენილი საწარმოებისა და გაერთიანებების რიცხვი. მთლიანი პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და წარმოების სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ ქალაქების ფოთის, გორის, ტყვარჩელის, გარდაბნისა და ზესტაფონის რაიონების საწარმოები. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან დახმარებას არ უწევდნენ ჩამორჩენილ კოლექტივებს.

სისტემატურად ირღვევა რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოთა მიერ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

შრომის ნაყოფიერების ფაქტიური მატება ჩამორჩება წლიური გეგმით დასახულ მაჯნებს. საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონე 2,6 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც წლიური გეგმით გათვალისწინებულია 5 პროცენტი.

საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის განვითარებაში არსებითი ნაკლოვანებანი მეტწილად იმან გამოიწვია, რომ რესპუბლიკაში დღემდე არ იყენებენ ამ და სხვა საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის მართვისა და კონტროლის ეფექტიან ფორმებსა და მეთოდებს.

რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა და სახალხო მეურნეობაში საგადამხდელო დისციპლინა კვლავ დამაკმაყოფილებელი არ არის. 1979 წლის ხუთ თვეში სამრეწველო საქმიანობისაგან მოგების დავალება მთლიანად რესპუბლიკაში მხოლოდ 98,9 პროცენტით შესრულდა.

შეშფოთებას იწვევს მეცხოველეობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პროდუქტების დამზადების ჩამორჩენა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში. წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად ვერ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა (96,5 პროცენტი) და კვერცხის (89,6 პროცენტი) მიყიდვის დავალებანი.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა ლანჩხუთის, კასპის, გურჯაანის, გორის, საგარეჯოს, წითელწყაროსა და სხვა რაიონების მეურნეობებში. თვის დამზადების შარშანდელ ტემპს ჩამორჩენენ საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, ახმეტის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, ზესტაფონის, საჩხერის, ონის, ამბროლაურის, მახარაძის რაიონები, აგრეთვე ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე: სენაჟის დამზადებაში — საგარეჯოს, წითელწყაროს, ბოლნისის, თეთრი წყაროს, წულუკიძის, ონის, ცაგერის, აბაშის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის რაიონები.

მუშაობის სტილსა და მეთოდებს ნელა გარდაქმნის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამ სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში კვლავინდებურად არ არის ჯეროვანი სისტემატურობა და მიზანმიმართულება, დაბალია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეული დარგების მართვის დონე.

არ შესრულებულა კაპიტალური მშენებლობის გეგმები.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სანიაო მშენებლობაში: კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულდა 94 პროცენტით, ხოლო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა — 86 პროცენტით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საშენ მასალათა მრეწველობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, სატყეო მეურნეობის სამინისტროების, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“, „ენგურჰესმშენის“ სამმართველოს, თბილისის სამშენებლო კონსტრუქციათა კომბინატის, თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის“, ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის“, შორაპნის ქარხანა „ელექტროლემენტის“, თბილისის საწარმოო გაერთიანების „ჩარხმშენებლის“, თბილისის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის, ქარხანა „საქსოფლმანქანის“, ჭუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „საქდვინომანქანის“, ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელებს, ქალაქების ფოთისა და ტყიბულის, ბორჯომის, სამტრედიის, ზუგდიდის, წალკის, ამბროლაურის, დუშეთის, ონის, ჩხოროწყუსა და სხვა იმ რაიონების პარტიული კომიტეტების მდივნებს, რომლებმაც ზრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ ჩამორჩენა დაუშვეს, მოსთხოვეს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ ამ მაჩვენებლის დავალებათა დაუყოვნებლივ შესრულება. მათ წინადადება მიეცათ პარტიუთ და საერთო კრებებზე განიხილონ შრომის ორგანიზაციის საკითხები და განსაზღვრონ ქმედითი პრაქტიკული ღონისძიებანი ყოველი მუშაკის გამოშუშვების მნიშვნელოვანი ზრდისათვის.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. რ. ჯაფარიძეს) დაევალა უფრო მკაცრი კონტროლი დაუწესოს საწარმოებს, სადაც დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული შრომა, დროულად შეტანოს წინადადებანი პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ჩამორჩენილებზე შესაბამისი ზემოქმედებისათვის.

იმ მიზნით, რომ უცილობლად შესრულდეს მოგების გეგმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების გაყოფილებას (ამხ. ნ. სანთლაძეს), საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს (ამხ. დ. ქართველიშვილს), საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს (ამხ. ფ. ანანიაშვილს) დაავალეს თითოეულ უწყებასა და წამყვან საწარმოს დაუწესონ მეორე ნახევარწლეულისათვის დავალებანი, რომლებიც უზრუნველყოფს მთელი რესპუბლიკის მიხედვით ამ მაჩვენებლის შესრულებას წელიწადში. სისტემატურად ჩამორჩენილი საწარმოებისა და უწყებების მიხედვით შეიტანონ წინადადებანი განსახილველად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

ცნობად არის მიღებული, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც დაეკისრა მოვალეობა განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი სახსრების ყაირათიანი ხარჯვისათვის, საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებისა და უწყებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ეკონომიკისადმი მართვის კომპეტენტურობის, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებაში ხელმძღვანელობის როლის ამაღლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დარგობრივ განყოფილებებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ადგილობრივ და პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, დავალათა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ აღნიშნული ჯგუფის საწარმოთა უფრო ეფექტი-

(დასასრული 3ე-2 გვ.).

ხუთწლედი. შეჯიბრება

ეს დღეები ქალაქად, სოფლად!..

საქართველოს მეჩაიეთა წარმატება

დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა მეჩაიეებმა. მათ 106,3 პროცენტით შეასრულეს ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა. ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 1525,7 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს 440 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი დაბარებდნენ, სეზონის დამთავრებამდე ორი თვით ადრე 327 ათასი ტონა ჩაი ჩაბარეს.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება. (საქინფორმი).

ინერგება სიახლე

მალე თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ წარმოების ძირითადი რგოლის — სატვიფრმექანიკური საამქროს აღჭურვილობა მთლიანად დააკმაყოფილებს თანამედროვეობის ტექნიკურ მოთხოვნათა დონეს. ამჟამად აქ დიდმწარმოებლური გალვანური დაფარვის ავტომატის დამონტაჟება დაიწყო.

ამავე საამქროში დამონტაჟდება ავრეთვე მეორე გალვანური ხაზი. ამ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით მკვეთრად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება. დანადგართა პარკის განახლება საშუალებას მისცემს ელექტრიკოსებს აითვისონ ახალი ტიპის პროდუქცია, რომლის მექანიზმთა ნაწილები წინამორბედთან შედარებით ორჯერ და სამჯერ მტკიცეა და გაცილებით ხანგამძლე. ახალი პროდუქცია — „ეე-252“ ტიპის ავტომატი სახელმწიფო საატესტაციო კომისიას საპატიო ხუთკუთხედის მოსაპოვებლად გაგზავნება.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

იყენებენ რეზერვებს

(„კომუნისტის“ კორ.). დმანისელი მეცხოველეები წლეულს წარმატებით იყენებენ წარმოების რეზერვებს. ამის შედეგია, რომ მათ გააუმჯობესეს დარგის განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. რაიონში თავი ისახელა სახელმწიფოსთვის ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის მიყიდვის საქმეში. განსვლილ შვიდ თვეში გეგმა-დავალების გადამეტებით დამზადებულია 1040 ცენტნერი ხორცი, 50 ცენტნერი რძე, 12 ცენტნერი მატყლი, 90 ათასი ცალი კვერცხი.

ხორცის წარმოებაში საზოგადოებრივ მეურნეობებს არ ჩამორჩა მოსახლეობა, რომელმაც 6 თვეში სახელმწიფოს 1200 ცენტნერი ხორცი მიჰყიდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ცენტნერისა.

— მეცხოველეობაში მიღწეული შვიდი თვის შედეგები იმედს გვინერგავს, რომ წლევანდელ გეგმა-დავალებებს პირნათლად შეეასრულებთო, — გვითხრა საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ყულჯანიშვილმა, — განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ერთ საფურაქე ძროხაზე წველადობის გადიდებას, ვინაიდან ამ მხრივ შარშანდელ დონეს ჩამოვრჩებით. ფერმის მუშაკებმა ერთ საფურაქე ძროხაზე რძის წარმოების დანაკლისი ივლისში 30 კილოგრამით შეამცირეს. სხვათა 20 კილოგრამი დარჩა, რომელსაც აგვისტოს თვეშივე დაფარავენ.

გულითადი შეხვედრები ამხანაგ ა. ნ. კოსიგინთან საქართველოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, რომელიც დასასვენებლად იმყოფება, იმოგზაურა საქართველოს რაიონებში, გაეცნო რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებასა და ყოფას.

21 ივლისს ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ეწვია გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის და სოფელ დურიფშის ლენინის ორდენოსან კოლმეურნეობებს. მან დაათვალიერა ჩაის პლანტაციები და ეკონომიკა, ესაუბრა კოლმეურნეებსა და ბრიგადიერებს.

სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხ. აიბა და დურიფშის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ფ. ლაკერბაი ესაუბრნენ მეურნეობათა მშრომელების წარმატებებზე, მეჩაიეობის განვითარების პერსპექტივებზე, ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა და მზა პროდუქციის — შავი ბაიხაოს ჩაის თვითღირებულების შემცირების გზებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მთელი რიგი საყურადღებო მოსაზრებანი, რომლებიც დაკავშირებულია ჩაის ფოთლის კრეფის დროს დიდი და მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებასთან, მელიორაციის დარგში სამუშაოთა გაფართოებასთან.

ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი იყო გუდაუთის ჩაის ფაბრიკაში. იგი ესაუბრა საწარმოს ხელმძღვანელებს, მუშებსა და სპეციალისტებს, დაათვალიერა ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიით, საწარმოო გეგმების შესრულებით, მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრებით.

31 ივლისს ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა დაათვალიერა საქართველოს მანგანუმის ქალაქი ჭიათურა, რომელიც წელს დაარსების მეასე წლისთავს აღნიშნავს. ქალაქის მშრომელები საბჭოთა თავრობის მეთაურს ესაუბრნენ თავიანთი შრომითი წარმატებების შესახებ. ქალაქის მრეწველობამ ვადაზე ერთი კვირით ადრე შეასრულა პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა. გადაჭარბებით შესრულდა მანგანუმის მადნის მოპოვების შვიდი თვის დავალება. ქალაქ ჭიათურის ზონის მშრომელებმა შეასრულეს სახელმწიფოფასთვის ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის დავალებანი.

ჭიათურის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან საუბრის დროს, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტეტში გაიმართა, ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს გამამდიდრებელი ფაბრიკების მუშაობა, მანგანუმის მადნის გამდიდრების ხარისხი. მან დიდი ყურადღება დაუთმო მუშათა კადრების მომზადებას, მათი პროფესიული ოსტატობის, საქართველოს მუშათა კლასის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის სრულყოფას, ახალგაზრდა მეიაროლებთან მუშაობაში შრომის ეტიკეტთა უფრო ფართოდ ჩაბმას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა რწმენა, რომ ჭიათურელი მეიაროლები ყველანაკ აჩვენებენ მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითებს, პირნათლად შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე გაღიდების პასუხსაგებ ამოცანებს.

საქართველოში სპილენძის ფხვნილისა და ჭიათურის სანადოს მანგანუმის მწირი მადნეულის გამოყენებით მანგანუმის ელექტროლიზური ორეანგის წარმებისათვის ჰიდრომეტალურგიის განვითარების პერსპექტივების შესახებ ამხანაგ ა. ნ. კოსიგინს ესაუბრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ანაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ლ. ჯაფარიძე.

ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ეწვია ითხვისის მაღაროსამმართველოს, დაინტერესდა მანგანუმის მოპოვების პროცესით, დათვალიერა ახალი ითხვისის მანგანუმის მაღარო, სასწავლო სანგრეკი, მანგანუმის ლავები, რომლებიც დამახასიათებელია ჭიათურის სანადოსათვის. ჭიათურის მანგანუმის კომბინატის დირექტორმა ფ. აფაქიძემ და მთავარმა ინჟინერმა ა. ხობუამ სტუმარს აცნობეს, რომ ახალი ითხვისის მაღაროს კომბინატის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა, რომელიც სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. აქ მექანიზებულია ყველა შრომატევადი პროცესი.

ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა გ. ბაქრაძეს — გვრარბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელს, რომელიც მადნის იღებს მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში.

ჭიათურელ მაღაროელთა სახელით გ. ბაქრაძემ საბჭოთა მთავრობის მეთაურს აღუთქვა, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ვადამდე შეასრულონ მეათე ხუთწლედის დავალებანი.

მაღაროს ტრანსპორტის უფროსთან ზ. რეგიასთან საუბრის დროს, რომელსაც ესწრებოდნენ საწარმოში მომუშავე მაღაროელები, ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა მაღალი შეფასება მისცა ტრანსპორტელთა მუშაობას, უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებანი შრომასა და მუშაობაში.

ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა მაღაროელთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა განავითაროს დამხმარე მეურნეობანი, გამოიყენონ ახალი რეზერვები ხორცის წარმოების გადიდებისათვის.

ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ეწვია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას — საქართველოს შავი მეტალურგიის პირმშოს. ამ საწარმოს პროდუქცია პოპულარულია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი იგზავნება საზღვარგარეთის თითქმის 30 ქვეყანაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ესაუბრა № 1 საამქროს კოლექტივს, დაათვალიერა ფეროშენადნობთა საწარმოო დახურული ღუმელები, ამას წინათ ამოქმედებული საადგილმერაციო ფაბრიკა, გაეცნო საწარმოო პროცესებს, დაათვალიერა მუშათა სასადილო, გამოთქვა მთელი რიგი შენიშვნები მუშაობის ხარისხის ამაღლების, მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ.

მეორე დღეს, როცა ეწვია სამკურნალო წყლებით განთქმულ ყურორტ წყალტუბოს, ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა დამსვენებლებს, გამოიკითხა, თუ როგორია სამედიცინო მომსახურება, რა პირობებია შექმნილი მშრომელთა დასვენებისათვის, განვითარების რა პერსპექტივები აქვს ამ საქვეყნოდ ცნობილ ჯანმრთელობის კერას.

შემდეგ ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი გაემგზავრა საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქუთაისში. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა დაათვალიერა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა. 28 წლის წინათ მისი მთავარი კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ქართული ავტომობილი. დღეს ეს უდიდესი საწარმოა, რომელიც უშვებს ავტომატარებლებს, მძლავრ საწევრებს, ავტომობილების ძრავებს, მათ სათადარიგო ნაწილებს.

ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი გაეცნო, თუ როგორ მმდინარეობს ქარხნის რეკონსტრუქცია, რომლის დამთავრების შემდეგ სატვირთო ავტომობილების გამოშვება ერთიორად გაიზრდება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გაეცნო მთავარი კონვეიერის მუშაობას, დაათვალიერა ძრავების, საამწყობო-გამოსაცდელი, კაბინების შესაღები და მოსაპირკეთებელი, ძარების საწნეხი და სხვა საამქროები.

ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ნ. რუხაძეს, ავტოქარხნის გენერალურ დირექტორს ვ. ხარებავას, მთავარ ინჟინერს თ. გენძეხაძეს, პირველი ქართული ავტომობილის გამომცდელს სოციალისტური შრომის გმირს გ. ვაშაკიძეს, მუშა დ. ქევანიშვილს. მათთან საუბარში იგი დაინტერესდა ავტომობილების მშენებელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხებით, ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საწარმომ რაც შეიძლება სწრაფად აითვისოს სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ახალი ავტომანქანების წარმოება.

ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა დათვალიერა იმ მანქანების საცდელი ნიმუშები, რომლებიც მოსკოვის პოლიგონზე გაიგზავნება გამოსაცდელად.

ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ეწვია ცხაკაიას რაიონის სოფელ თელავათის საკოლმეურნეობათა-შორისო მეცხოველეობის კომპლექსს.

პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ სტუმარს მოუთხრო რაიონის ცხოვრებაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებების შესახებ.

ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა მაღალი შეფასება მისცა ცხაკაიელ მეცხოველეთა საქმიანობას, აღნიშნა, რომ ისინი ზრუნავენ სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარებისათვის, თქვა, რომ საჭიროა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა მეცხოველეობისათვის.

როცა ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ტყვარჩელს ეწვია, ქალაქის მშრომელებმა სიამაყით უამბეს საბჭოთა მთავრობის მეთაურს, თუ რა შრომითს წარმატებებს აღწევენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. იმაში, რომ აფხაზეთის სამრეწველო საწარმოების მშრომელებმა ჯერ კიდევ 25 ივლისს შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის მოცულობისა და რეალიზაციის შვიდი თვის გეგმა, ტყვარჩელელებმაც დიდი წვლილი შეიტანეს. ტყვარჩელელი მეშახტეები, რომლებიც ემზადებიან ტრადიციული დღესასწაულის — მეშახტის დღისათვის, დღე-ღამეში გეგმის გადამეტებით დიდძალ ქვანახშირს იღებენ.

საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ესაუბრა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ავიაებას, გაერთიანება „საქქვანახშირის“ გენერალურ დირექტორს ვ. ფანჯოლას, ეკონომიური პარტიის უფროსს ზ. ობოლაძეს, ქალაქის სხვა ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. მათ ახს. ა. ნ. კოსიგინს გააცნეს მეშახტეთა ცხოვრებაში მომხდარი ძირეული გარდაქმნები, აცნობეს, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აფხაზეთისათვის ისტორიული დადგენილება აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ, გააცნეს ქალაქ ტყვარჩელის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები.

ამხ. ა. ნ. კოსიგინმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ტყვარჩელის აუზში ქვანახშირის მარაგის შემდგომი განსაზღვრისა და შესწავლის საკითხებისადმი, გამოთქვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი წინადადებანი და რეკომენდაციები.

საბჭოთა მთავრობის მეთაური გაეცნო ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშაობას, რომლის კოლექტივს არაერთხელ გაუმარჯვია ქვეყნის მომჯობინებელ საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში. უსაფრთხოების ტექნიკის სანიმუშო მდგომარეობისა და წარმოების კულტურისათვის ტყვარჩელის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა დაჯილდოებულია სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სპატიო სიგელით. ყოველთვიურად საწარმო რუსთავის მეტალურგებს დავალების გადამეტებით უგზავნის ათასობით ტონა კოქსის კონცენტრატს.

ამხ. ა. ნ. კოსიგინმა გამოიკითხა, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებენ ფაბრიკაში ამას წინათ დადგმულ ახალ ტექნიკას, დაინტერესდა ქვანახშირის გამდიდრების ტექნოლოგიით, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონით.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა მოწინავე მეაპარატეს ნ. მარშანიას, სხვა მუშებს, გაეცნო მათ საწარმოო წარმატებებს და ყოფა-ცხოვრებას.

ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა დადებითად შეაფასა რესპუბლიკაში მიმდინარე დიდი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს თბოენერგეტიკული ბაზის შემდგომ განვითარებას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის ამაღლებას. მან გამოთქვა რწმენა, რომ ხუთწლედის მეოთხე წელს რესპუბლიკის მშრომელები პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს მიაღწევენ სკკპ XXV ყრილობის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განხორციელებაში.

ყველგან, სადაც კი ა. ნ. კოსიგინი იყო, საქართველოს მშრომელები ხედავდნენ ენერგიადად, გამოთქვამდნენ უდიდესი მადლიერების გრძნობას კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი, რომლებიც ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ საბჭოთა ადამიანების საჭიროებებს, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას.

რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს ამხანაგ ა. ნ. კოსიგინს ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ა. ნ. ინაური, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა და სხვები. (საქინფორმი).

პროგრამა წარმატებით სრულდება

ფრუნზის მართვის ცენტრი, 3 აგვისტო. (საკდისი). 160-ე დღეა, რაც ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი დედამიწისირგვლივ კოსმოსური სივრცეში მუშაობენ.

„სალუტ-6“-სოიუზ-34“ პილოტირებულ კომპლექსში სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის პროგრამა დასასრულს უახლოვდება. სამუშაოთა ერთ-ერთი საბოლოო ეტაპია „რტ-10 კოსმოსური რადიოტელესკოპით ექსპერიმენტების განხორციელება: დღეს წარმოებს დედამიწის ზედაპირის ცალკეული რაიონების, მსოფლიო ოკეანის აკვატორიის რადიოკარტოგრაფირება და პულსარის რადიოასტრონომიული დაკვირვება.

კომპლექსში გრძელდება ბიოლოგიური ექსპერიმენტები. კოსმონავტები აკვირდებიან მცენარეთა განვითარებას, უზრუნველყოფენ საჭირო პირობებს ბიოლოგიურ ობიექტებიან თერმოსტატებში.

გაწეული კომპლექსური სამედიცინო კვლევის შედეგებით ვლადიმერ ლიახოვისა და ვალერი რიუმინის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია. მეთაურის მაჯისცემის სიხშირეა 60, ბორტინჟინრისა — 55 წუთში. არტერიული წნევა შესაბამისად უდრის 135/60 და 130/60 მილიმეტრ ვერცხლისწყლის სვეტს.

დედამიწისირგვლივ ორბიტაზე კვლევის პროგრამა წარმატებით სრულდება.

მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ მიმდინარე წლის დავალებათა უთუო შესრულებას

(დასასრული)

ანი მართვა, გაუწიონ მათ ქმედითი დახმარება მუშაობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებას (ამხ. ბ. ბარსუკოვს) დაეკისრათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესებას, და წარმოადგინონ ისინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს განსახილველად.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს (ამხ. გ. გამცემლიძეს) დაეკალა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ბამბიულისა და შალის, ნართისა და ქოვლიების გამოშვების 1979 წლის საგეგმო დავალებათა უწრუნველყოფის მხრივ დაშვებული ჩამორჩენის დაძლევის მიზნით დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა დამთავრდეს სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა სამუშაოები გორის ბამბიულის საწარმოო გაერთიანებაში, თბილისის კამოლ-მაუდის კომბინატსა და სხვა ობიექტებში.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოო გაერთიანებებსა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს, რომლებიც განლაგებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ, წინადადება მიეცათ დასახონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების შემდგომი განვითარებისათვის.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ამხ. შ. ეცადაშვილს), კვების მრეწველობის სამინისტროს (ამხ. რ. კონცელიძეს), დამზადების სამინისტროს (ამხ. შ. ჭანყუყაძეს), ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს (ამხ. ა. მოვსესიანს), საქსახსოფლტექნიკას (ამხ. დ. სარიშვილს), სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებასთან, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს დაევალათ მესამე კვარტალში უზრუნველყონ მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების, საკვების დამზადების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უცილობელი შესრულება; დაძლიონ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საზოგადოებრივი მეურნეობების მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში დაშვებული ჩამორჩენა. მათ ნაკადური ტექნოლოგიის ფართო დანერგვის გზით უნდა უზრუნველყონ მთელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის უდანაკარგოდ და საუკეთესო ვადაში აღება; განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა:

— უზრუნველყონ თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სრული მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალხარისხოვან თესლზე 1980 წლის მოსავლისათვის, აგრეთვე ამ კულტურების თესლის მეურნეობათა სადაზღვევო და გარდამავალ ფონდებში დაბინავებისათვის;

— წარმატებით მოაწყონ 1979-80 წლის პერიოდში პირუტყვის გამოზამთრება, ამასთან, გაითვალისწინონ მეცხოველეობის სადგომებისა და საკვები საამქროების დროულად მომზადება, აგრეთვე უხეშში საკვების დამზადებასთან ერთად მიიტანონ ისინი გამოზამთრების ადგილებში.

— განახორციელონ ღონისძიებანი კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებისა და ველური ნაყოფისა და კენკრის შესყიდვის დადგენილი გეგმებისა და დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე.

კვების მრეწველობის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს პირველადი მეღვინეობის ქარხნებიდან ღვინომასალის გამოტანა და ყურძნის გადამუშავების სეზონისათვის ტევადობათა მაქსიმალური განთავისუფლება; დაჩქარეს 1979 წლის ყურძნის მოსავლის გადამუშავების სეზონისათვის საწარმოთა მოსამზადებელი სამუშაოების ტემპი, ამასთანავე უზრუნველყოს პირველადი მეღვინეობის ქარხნების მომზადება მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ტექნოლოგიური მოწყობილობის, აგრეთვე შენობების, ნაგებობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სათავსების რემონტის ხარისხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სამშენებლო ორგანიზაციების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს დაავალეს გადაქმნან კაპიტალური მშენებლობის მართვისათვის მუშაობა. მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ძირითადი ფონდების ამოქმედებას. საჭიროა განისაზღვროს ასამოქმედებელი ობიექტების ნუსხა ყოველი ქალაქისა და რაიონის მიხედვით, შეიქმნას ამ ობიექტებში შტაბები, რომლებსაც უხელმძღვანელებენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, დარაზმონ ხალხი და თავი მოუყარონ მატერიალურ რესურსებს, ორგანიზაცია გაუწიონ ადამიანთა შრომას, შეადგინონ ობიექტების ამოქმედების გრაფიკები თვეების მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილებას (ამხ. გ. ანდრონიკაშვილს) დაეკისრა ყოველკვირეულად განიხილოს ასამოქმედებელი ობიექტების საქმეთა ვითარება, აამაღლოს რესპუბლიკის აღგილობრივი პარტიული ორგანობისა და იმ ხელმძღვანელების როლი, რომლებზეც გაპირავნებულია ეს ობიექტები, მათი დროული ამოქმედებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებას (ამხ. ს. ხაბეიშვილს) დაევალა განაზოგადოს რუსთავის ქიმიური ქარხნის ობიექტების მშენებლობის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება.

დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და აღგილმბრივ პარტიულ ორგანოებს ავალებს გაზარდონ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, საქალაქო (რაიონული) აღმასკომების თავმჯდომარეთა პასუხისმგებლობა ბინების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისებისა და მათი დროული ამოქმედებისათვის, ამ მიზნით გამოიყენონ საჭირო მასალები, ნაგებობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სათავსების რემონტის ხარისხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სამშენებლო ორგანიზაციების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს დაავალეს გადაქმნან კაპიტალური მშენებლობის მართვისათვის მუშაობა. მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ძირითადი ფონდების ამოქმედებას. საჭიროა განისაზღვროს ასამოქმედებელი ობიექტების ნუსხა ყოველი ქალაქისა და რაიონის მიხედვით, შეიქმნას ამ ობიექტებში შტაბები, რომლებსაც უხელმძღვანელებენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, დარაზმონ ხალხი და თავი მოუყარონ მატერიალურ რესურსებს, ორგანიზაცია გაუწიონ ადამიანთა შრომას, შეადგინონ ობიექტების ამოქმედების გრაფიკები თვეების მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილებას (ამხ. გ. ანდრონიკაშვილს) დაეკისრა ყოველკვირეულად განიხილოს ასამოქმედებელი ობიექტების საქმეთა ვითარება, აამაღლოს რესპუბლიკის აღგილობრივი პარტიული ორგანობისა და იმ ხელმძღვანელების როლი, რომლებზეც გაპირავნებულია ეს ობიექტები, მათი დროული ამოქმედებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებას (ამხ. ს. ხაბეიშვილს) დაევალა განაზოგადოს რუსთავის ქიმიური ქარხნის ობიექტების მშენებლობის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება.

დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და აღგილმბრივ პარტიულ ორგანოებს ავალებს გაზარდონ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, საქალაქო (რაიონული) აღმასკომების თავმჯდომარეთა პასუხისმგებლობა ბინების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისებისა და მათი დროული ამოქმედებისათვის, ამ მიზნით გამოიყენონ საჭირო მასალები, ნაგებობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სათავსების რემონტის ხარისხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დადგენილი დავალებების შესრულებისათვის, მშენებელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მორალური და მატერიალური წახალისების ეფექტიანი ფორმები.

მშენებლობის მინისტრის (ამხ. ნ. მეძმარიაშვილის), სასოფლო მშენებლობის მინისტრის (ამხ. ი. ხარაგანიშვილის) ყურადღება მიეპყრო ჩამორჩენას ბინების მშენებლობის საგეგმო დავალებათა შესრულებაში. ისინი გააფრთხილეს, რომ პირადად აგებენ პასუხს ამ მაჩვენებლის შესრულებისათვის.

დადგენილებამ სამშენებლო ორგანიზაციების სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებს მოსთხოვა უზრუნველყონ სახსრების ათვისება და ძირითადი ფონდების ამოქმედება შემდეგ დარგებში: ჯანმრთელობის დაცვაში, პროფტექნიკურ განათლებაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს კანტორის მმართველს (ამხ. ვ. პატეიშვილისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს კანტორის მმართველის ამხ. ზ. გენძეხაძის) უყურადღება მიეპყრო იმას, რომ არადამაკმაყოფილებელ კონტროლს უწევენ მშენებლობაში საგეგმო და საფინანსო დისციპლინის მდგომარეობას, გეგმის გარეშე ობიექტების მშენებლობას, რაც ჯერ კიდევ გრძელდება.

დადგენილება მოითხოვს საქართველოს სსრ სახმომარაგებისაგან (ამხ. ა. ბუაძე) განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის დარგებისათვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, განსაკუთრებით ხე-ტყის მასალისა და ლითონის შეუფერხებელი მიწოდებისათვის, ხოლო საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსაგან (ამხ. შ. ჭალაგანიძე) უზრუნველყოს 1979 წლის შესამე კვარტალში მომზარბლებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალის ვადამდე მიწოდება.

ტვირთზიდვაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დავალეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს (ამხ. ლ. ვარდოსანიძე):

— უზრუნველყოს მატარებლების საუბნო სიჩქარის გადიდება და მათი მიმოსვლის გრაფიკების დაცვა, შექმნას სპეციალური სამარშრუტო შემადგენლობები ხე-ტყის მასალის გადასაზიდად, ამასთან ყოველდღიური კონტროლი დაუწესოს მათ გადაადგილებას; მიაღწიოს სამშენებლო ორგანიზაციებისათვის ინერტული მასალების შეუფერხებელ მიწოდებას, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მათ შემოზიდვას სხვა რესპუბლიკებიდან; უზრუნველყოს მოძრავი შემადგენლობის დროული მიწოდება სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადასაზიდად, არ დაუშვას მისი მოცდენა; მკვეთრად აამაღლოს სამსახურების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის მდგომარეობისადმი;

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიისა და თბილისის განყოფილებათა ხელმძღვანელების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა ალმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის, აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაციაში, უზრუნველყონ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომი ამაღლება;

დადგენილება რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ავალებს დამატებითი ღონისძიებანი ეკონომიკურ-ტექნიკური ღონისძიებანი განახორციელონ, რათა უზრუნველყონ ტვირთის თანაბარზომიერი მიწოდება გადაზიდვისა . და რკინიგზის ვაგონებიდან გადმოტვირთვისათვის კვირის ყველა დღეში, დადგენილ ნორმამდე შეამცირონ მათი მოცდენა ნაქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მისასვლელ გზებზე, გაუმჯობესონ ვაგონების ტვირთმწყობისა და ტევადობის გამოყენება.

დადგენილება მოითხოვს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისაგან (ამხ. ო. მელქაძე) საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან ერთად ერთ თვეში შეისწავლოს იმ ღონისძიებათა ქმედითობა, რომლებსაც რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებანი ახორციელებენ ძირითად სახეობათა მატერიალური რესურსების დასაზოგად; გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელოს [illegible] რათა [illegible] ბრალი მიუძღვით მფლანგველობაში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ხე-ტყის მასალის რაციონალურ გამოყენებას მთლიანად, და, კერძოდ, სანიტარიული ჩეხვით დამზადებული მერქნის ხარჯვას.

სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო კომიტეტების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან ერთ თვეში განიხილონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის მდგომარეობა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც ამაღლებენ წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკურ დონეს და პროდუქციის ხარისხს, ღრმად გაანალიზონ საგეგმო დავალებათა შეუხრულებლობის მიზეზები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი 1979 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმების უთუო შესრულებისათვის. ისინი ვალდებული არიან გაწეული მუშაობის შესახებ სექტემბრის დამლევამდე მოახსენონ საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტს, რომელსაც დავალებული აქვს განაზოგადოს მიღებული მასალები და შესაბამისი წინადადებანი წარუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს.

საქონელმბრუნვის 1979 წლის გეგმისა და დამატებითი დავალების, აგრეთვე მთლიანად ხუთწლიანი გეგმის უთუო შესრულების მიზნით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. მ. მეგრელიშვილი), ცეკავშირის გამგეობამ (ამხ. კ. შავიშვილი), რესპუბლიკის იმ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც სავაჭრო ქსელი აქვთ, უნდა განახორციელონ მტკიცე ღონისძიებანი, რათა გააუმჯობესონ კომერციული და ორგანიზაციული მუშაობა სასაქონლო რესურსების თანაბარზომიერი განაწილებისა და ამ საქონლის დროული მიმოვრცელებისათვის, აგრეთვე საქონლებრუნვაში ზენორმატიული საქონლის ნაშთის მოქცევისათვის.

[illegible] უწყებებს, საწარმოთა და გაერთიანებათა ხელმძღვანელებს, [illegible] აფხაზეთის სსრ [illegible] ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა დროულად და გულდასმით მომამზადონ საქვეუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები 1979-80 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სამუშაოდ.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების წინაშე დასახული ამოცანა ფართოდ გაშალონ მუშაობა, რათა იდეოლოგიურად უზრუნველყონ საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. ამ მიზნით მათ ფართოდ უნდა გამოიყენონ მასების შეგნებაზე იდეური ზემოქმედების ყველა საშუალება, განსაკუთრებით — თვალსაჩინო აგიტაცია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, ხელოვნების ყურადღება დაუთმონ სოციალისტური შეჯიბრების აღმზრდელობითს ასპექტებს;

გააძლიერონ ლექციური პროპაგანდა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, საფინანსო დისციპლინის გაშმაგების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების, წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების საკითხებზე;

გამოავლინონ ნაკლოვანებანი სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის, სამუშაო დროისადმი, ნედლეულისა და მასალებისადმი უყაირათიანი დამოკიდებულების საქმეში, ყოველნაირად გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ — ᲮᲐᲚᲮᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებს ფართო ამოცანები დაუსახა — მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით გადადონ მუსიკალური საკრავების, მხატვრულ სარეწთა ნაკეთობების, სუვენირების, საყოფაცხოვრებო, საოჯახო საქონლის, დასვენების, ტურიზმის, ფიზიკური კულტურისა და სპორტისათვის განკუთვნილი საგნების გამოშვება.

წარმატებით რომ გადაგვეწყვეტა ეს მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანები, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ჩვენი სისტემის სამრეწველო საწარმოებში ბევრი საჭირო და სასარგებლო ღონისძიება განვახორციელეთ.

უწინარეს ყოვლისა, წვრილ, ნახევრად შინამრეწველურ საწარმოთა ბაზაზე შევქმენით მსხვილი საწარმოო გაერთიანებანი, სპეციალიზებული სამრეწველო წარმოებანი, რომლებიც აღჭურვეთ თანამედროვე ტექნიკით და დავნერგეთ ახალი ტექნოლოგია. ამან საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვიზარდა ფართო მოხმარების საგნების წარმოება. ასე, მაგალითად, თუკი მეცხრე ხუთწლედის დასაწყისში რესპუბლიკის აღგილობრივი მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის მთლიანი მოცულობა 154 მილიონ მანეთს შეადგენდა, ამჟამად იგი 282 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო მეათე ხუთწლედის ბოლოს 305 მილიონს გადააჭარბებს. პროდუქციის მოცულობა უპირატესად ისეთი დარგების შემჭიდროებულ ხარჯზე გაიზარდა, რომლებიც საოჯახო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოებას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა მასობრივი მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოებითა და მისი ხარისხის გაუმჯობესებით ხასიათდება. დღეისათვის 142 დასახელების პროდუქციას აქვს მინიჭებული სახელმწიფო ხარისხის ნიშანი და, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საპატიო ხუთკუთხედიანმა პროდუქციამ წარმოების მთლიან მოცულობაში გეგმით გათვალისწინებული 8270 ათასი მანეთის ნაცვლად უკვე 10 156 ათას მანეთს მიაღწია.

ცნობილია, რომ სკკპ XXV ყრილობამ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების შემდგომ გაძლიერებასთან ერთად ყურადღება გამახვილა სოფლის მოსახლეობის და მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებაზე.

მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობა-მებოსტნეობას ესაჭიროება ფართო ასორტიმენტის ადგილობრივი ნაკეთობა, ინვენტარი, რაც ადგილობრივმა მრეწველობამ უნდა დაამზადოს; მათ შორის ჩაის ბუჩქის მძიმე და მსუბუქი გასხვლის მაკრატელი, ხელის კულტივატორი, ვენახის შესაწამლი აპარატი „ტრემაქსი“, ვენახის და ხეხილის შესასხურებელი აპარატი „ავტომაქსი“, ხეხილის სამყნობი დანა, ხილის საკრეფი დანა, სარწყავი, თოხი, ბარი, წალდი, ფოცხი და სხვა.

რესპუბლიკაში წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და ინვენტარის წარმოების ზრდის სალიტრაციოდ მოვიყვან მხოლოდ ორ ციფრს — თუ შარშან 1976 ათასი მანეთის პროდუქცია დავამზადეთ, წლეულს 3.050 ათასი მანეთის პროდუქციას გამოვუშვებთ.

წარმოების მოცულობის ზრდის პარალელურად ყურადღების ცენტრშია ნაწარმის ხარისხი. სამინისტროს საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო თბილისის № 2 მექანიკური ქარხნის სპეციალისტებთან ერთად ამუშავებს ვენახის შესაწამლი აპარატის „ტრემაქსის“ ახალ კონსტრუქციას, რომელიც უფრო მსუბუქი, მწარმოებლური და მოსახერხებელი იქნება.

ამჟამად სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტებსა და ინვენტარს უშვებს ჩვენი სისტემის 13 საწარმო. სამწუხაროდ, მათი დაბალი ტექნიკური აღჭურვილობის გამო, მუშათა და სპეციალისტების დიდი მონდომების მიუხედავად, ხშირად ნაკეთობათა ხარისხი შედარებით დაბალია. ამიტომ რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერით თბილისის გარეუბანში დავიწყეთ წვრილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ახალი ქარხნის მშენებლობა, რომელიც 1980 წელს უნდა დამთავრდეს. ამ ქარხნის ამოქმედება საშუალებას მოგვცემს თავი მოვუყაროთ ამ დარგს ერთ მსხვილ მექანიზებულ და ავტომატიზებულ საწარმოში.

მოსახლეობის მასობრივი უზრუნველყოფა ახალი კომფორტული საცხოვრებელი ბინებით, რაც მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობის შედეგია, ჩვენი მუშაკებისაგან მოითხოვს ალმობილთათვის კომპლექტები, ბავშვის ქურთუკები, რეზინის ფეხსაცმელი და სხვა.

24 სახეობის საბავშვო სათამაშოს (თბილისის საწარმოო გაერთიანება „სიხარული“), ახალშობილთათვის კომპლექტების (ბოგდანოვკის სამკერვალო ფაბრიკა), რეიტუზებს და ორი სახეობის საბავშვო შარვალს (გარდაბნის ტრიკოტაჟის ფაბრიკა) მინიჭებული აქვთ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. მაგრამ, ჩვენ მიერ გამოშვებული საბავშვო საქონლის ნაწილი თავისი ხარისხით ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს გზრდილ მოთხოვნებს და ხშირად მომხმარებელთა გულისწყრომასაც იმსახურებს.

ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს გავაფართოოთ საბავშვო საქონლის ასორტიმენტი და მკვეთრად გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. ეს საკითხი სამინისტროს კოლეგიის სპეციალური მსჯელობის საგანი იყო და ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს პერიოდში იგი დადებითად გადაწყდება. ამასთან საბავშვო სათამაშოების გამოშვების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას განსაკუთრებული კონტროლი ეწევა.

მუსიკალურ სიმებიან საკრავებს (პიანინო, გიტარა) უშვებს აღგილობრივი მრეწველობის თბილისის მუსიკალური კლავიშიანი საკრავების ფაბრიკა.

მიუხედავად მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნისა, სამუშაროდ, ვერ ვასრულებთ გიტარის გამოშვების დავალებას. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ სუსტად მუშაობდა თბილისის მუსიკალური კლავიშიანი საკრავების ფაბრიკის ხელმძღვანელობა და ჯერ-ჯერობით დახმარებას ვერ გვიწევდა მშენებლობის სამინისტრო. ვერ იქნა და ვერ დავამთავრეთ გიტარის საამქროს მშენებლობა. ხან კაპიტალური დაბანდების თანხები არ გვეყო, ხან საჭირო სამშენებლო მასალები ვერ მივიღეთ, მშენებელმა ორგანიზაციებმაც გვიმტყუნეს.

ამჟამად ფაბრიკას ახალი ხელმძღვანელობა უდგას სათავეში, პრაქტიკული ღონისძიებანი დასახა სამეხისტრომ. გიტარის საამქროს მშენებლობა 1980 წლის დამლევისათვის დამთავრდება. სამინისტროს საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო ამუშავებს ახალი კონსტრუქციის გიტარებს, რესპუბლიკის მთავრობა დახმარებას გვპირდება მასალებით უზრუნველყოფის საქმეში, რაც თავის დადებით შედეგებს მოგვცემს.

ერთიც უნდა დავსძინოთ: ადვილი როდია კრიტიკული შენიშვნების ხშირად მოსმენა, მაგრამ, როდესაც სამართლიანია, საქმის ინტერესებით არის ნაკარნახევი და მშრომელთა კეთილ სურვილებს გამოხატავს, აღარაფერი გვეთქმის. პირიქით, ეს დაგვეხმარება დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ მუშაობაში არსებული ხარვეზები.

დარწმუნებული ვარ, რომ აღგილობრივი მრეწველობის მრავალათასიანი კოლექტივი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ მოსახლეობას მიაწოდოს ხარისხოვანი ათასნაირი საოჯახო წვრილმანი, რითაც თავის წვლილს შეიტანს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მ. მაღრაძე,

საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის მინისტრი.

ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ — ᲮᲐᲚᲮᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ აღგილობრივი მრეწველობის მუშაკებს ფართო ამოცანები დაუსახა — მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით გადადონ მუსიკალური საკრავების, მხატვრულ სარეწთა ნაკეთობების, სუვენირების, საყოფაცხოვრებო, საოჯახო საქონლის, დასვენების, ტურიზმის, ფიზიკური კულტურისა და სპორტისათვის განკუთვნილი საგნების გამოშვება.

წარმატებით რომ გადაგვეწყვეტა ეს მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანები, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ჩვენი სისტემის სამრეწველო საწარმოებში ბევრი საჭირო და სასარგებლო ღონისძიება განვახორციელეთ.

უწინარეს ყოვლისა, წვრილ, ნახევრად შინამრეწველურ საწარმოთა ბაზაზე შევქმენით მსხვილი საწარმოო გაერთიანებანი, სპეციალიზებული სამრეწველო წარმოებანი, რომლებიც აღჭურვეთ თანამედროვე ტექნიკით და დავნერგეთ ახალი ტექნოლოგია. ამან საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვიზარდა ფართო მოხმარების საგნების წარმოება. ასე, მაგალითად, თუკი მეცხრე ხუთწლედის დასაწყისში რესპუბლიკის აღგილობრივი მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის მთლიანი მოცულობა 154 მილიონ მანეთს შეადგენდა, ამჟამად იგი 282 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო მეათე ხუთწლედის ბოლოს 305 მილიონს გადააჭარბებს. პროდუქციის მოცულობა უპირატესად ისეთი დარგების შემჭიდროებულ ხარჯზე გაიზარდა, რომლებიც საოჯახო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოებას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა მასობრივი მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოებითა და მისი ხარისხის გაუმჯობესებით ხასიათდება. დღეისათვის 142 დასახელების პროდუქციას აქვს მინიჭებული სახელმწიფო ხარისხის ნიშანი და, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საპატიო ხუთკუთხედიანმა პროდუქციამ წარმოების მთლიან მოცულობაში გეგმით გათვალისწინებული 8270 ათასი მანეთის ნაცვლად უკვე 10 156 ათას მანეთს მიაღწია.

ცნობილია, რომ სკკპ XXV ყრილობამ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების შემდგომ გაძლიერებასთან ერთად ყურადღება გამახვილა სოფლის მოსახლეობის და მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებაზე.

მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობა-მებოსტნეობას ესაჭიროება ფართო ასორტიმენტის ადგილობრივი ნაკეთობა, ინვენტარი, რაც ადგილობრივმა მრეწველობამ უნდა დაამზადოს; მათ შორის ჩაის ბუჩქის მძიმე და მსუბუქი გასხვლის მაკრატელი, ხელის კულტივატორი, ვენახის შესაწამლი აპარატი „ტრემაქსი“, ვენახის და ხეხილის შესასხურებელი აპარატი „ავტომაქსი“, ხეხილის სამყნობი დანა, ხილის საკრეფი დანა, სარწყავი, თოხი, ბარი, წალდი, ფოცხი და სხვა.

რესპუბლიკაში წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და ინვენტარის წარმოების ზრდის სალიტრაციოდ მოვიყვან მხოლოდ ორ ციფრს — თუ შარშან 1976 ათასი მანეთის პროდუქცია დავამზადეთ, წლეულს 3.050 ათასი მანეთის პროდუქციას გამოვუშვებთ.

წარმოების მოცულობის ზრდის პარალელურად ყურადღების ცენ-

ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ



ᲓᲔᲓᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტრომანქანის“ ქარხანა „მიკროძრავის“ მეგრაგნილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლამარა თოფურია საწარმოს კოლექტივში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. იგი ყოველთვის სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია. მაღალი ოსტატობა, შრომისადმი კოммუნისტური დამოკიდებულება მოწინავე მეგრაგნილეს საშუალებას აძლევს რეგულარულად უსწრებდეს გრაფიკს.

ამჟამად ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ოთხმოცი პროცენტი ხარისხისნიშნიანია. ამ დიდ წარმატებაში თავისი წვლილი ლამარა თოფურიასაც შეაქვს. გამოცდილ მუშას ქარხანაში მრავალი ახალგაზრდა მიმდევარი ჰყავს. იგი ყოველთვის დაუზარებლად უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდა მუშებს. ამათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ლამარას ქალიშვილი მარინე, რომელმაც გადწყვიტა დედის კვალს გაჰყოლოდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: თბილისის საწარმოო გაერთიანება „საჭელექტრომანქანის“ ქარხანა „მიკროძრავის“ მოწინავე მეგრაგნილე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტი ლამარა თოფურია გამოცდილებას უზიარებს თავის ქალიშვილს.

3. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲨᲝᲠᲡ ᲠᲝᲚᲘᲐ: ᲡᲙᲚ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

მკრეხელობა თუ უვიცობა?!

ᲩᲕᲔᲜ ეროვნულ სიამაყეს, მსოფლიო კულტურის დიდ განძს — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ დრო და დრო ვაიმჩრიკეკლები და უვიცობითა თუ ჭეროსტრატული ენერგიით შეპყრობილნი გამოუჩნდებიან და გაკეწვლის მოუნდომებენ ხოლმე. თუმცა მის სიდიადეს ვერას აკლებენ, მაგრამ სამაგიეროდ მკითხველებს აოცებენ და გულს სტკენენ თავიანთი ზღვარდაუდებელი კადნიერებით. მაგრამ ყველა დროის მკრეხელ-მჩრეველთ გადაეჭარბა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა შ. ადეიშვილმა, რომელმაც საქართველოს მწერალთა კავშირისა და ქუთაისის განყოფილების ლიტერატურული ალმანახის — „განთიადის“ ა. წ. მესამე ნომერში მოახერხა თავისი „ნაფიერ-ნააზრევის“ გამომზეურება.

მკვლევარს შოთა რუსთაველი არ ეყო და არჩილ მეფეც მიაყოლა, აკაოდა, საქართველოში რუსთაველი ხომ ვიცით რა არის და არც მისი შემფასებლები ყოფილან დიდი ჭკუის პატრონებიო. და ერთი ხელის მოსმით შეგვიბლწა ეს ორი დიდებული სახელი. არც თეიმურაზ I დააკლო გესლი თუ წკეპარტები.

ყოველ ნაშრომსა თუ წერილს სერიოზული გარიჟვა სჭირდება. მეცნიერმა დადინჯებით უნდა ისაუბროს ამა თუ იმ დებულების გარშემო, მაგრამ შ. ადეიშვილმა პარადოქსების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ მათ გარშემო სერიოზული საუბარი უხერხულიკია. მაგრამ რადგანაც მისი „ნაზრევი“ მის უბის წიგნაკში კი არ არის ჩაწერილი, არამედ საქეყნოდ არის გამოქენებული, ამიტომ იძულებული ვართ მკითხველს ზოგიერთი რამ მოვახსენოთ.

შ. ადეიშვილი წერს: „ირკვევა, რომ მეფეები და სამღვდელოება რუსთაველის პოემას გმობდნენ, დევნიდნენ, ხოლო ფართო წრეები იცავდნენ მას ამ დევნისაგან“. სრული გაუგებრობაა. არც ერთ მეფეს, არც ერთ ეპოქაში არამც თუ დევნა არ დაუწყია „ვეფხისტყაოსნისა“ პირიქით, დამსახურებულად განადიდებდნენ მას, იზეპირებდნენ და ხშირად სახელმწიფო თუ პირად მიმოწერაში რუსთაველის აფორიზმს იმარჯვებდნენ რაიმე დებულების განსამტკიცებლად. სხვას რომ თავი დავანებოთ, რუსთაველის პირველი მეცნიერ მკვლევარი, მისი ტექსტის მეცნიერულად დამდგენელი და დამბეჭდავი მეფე ვახტანგ VI არ იყო? ანდა თვით არჩილ მეფე, რომლის მიმართ უამრავი ცილისმწამებლური ბრალდება აქვს შალვა ადეიშვილს წამოყენებული, რუსთაველი ხომ აღტაცებული იყო და კატეგორიულად აცხადებდა:

„ვინ ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გადმობრძანდეს ასე აქეთ, მელექსობა არ შეშვენის, დაყენენ მოსაბაქეთ“.

ახლა რაც შეეხება იმას, თითქოს სამღვდელოება დეგნიდა ვეფხისტყაოსანს, ესეც გაუგებრობაა და ყურმოკრული ამბებზეა აგებული. ამის შესახებ დღეს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. მართალია, სამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენელი სათანადოდ ვერ აფასებდა „ვეფხისტყაოსანს“ და მისდამი გარკვეულ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, მაგრამ ამ ცალკეული გამონაკლისის განზოგადება „ვეფხისტყაოსნისადმი“ მთლიანად სასულიერო წოდების უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ მსკელობა ისტორიულად გაუმართლებელია. მრავალ ფაქტს შორის ის მაინც არ უნდა დაგიწყებოდა წერილის ავტორს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ქართველი კაცი მზითვად ატანდა თავის ასულს, ხოლო მზითვის ბაღვა კი სასულიერო წოდების წარმომადგენლის კუთხეკის გარაშე არ ხდებოდა. ასე რომ „ვეფხისტყაოსანი“ სრულიად დამსახურებულად იყო კურთხეული ერისა და ბერის მიერ.

სრული გაუგებრობაა, როდესაც წერილის ავტორი წერს, რომ „არჩილიც რუსთაველის მოწონებიდ ეგეა, პოემა-გაბასება სინამდვილეში წარმოადგენს რუსთაველის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებს, ემსახურება რუსთაველის იდეების გაბათილებასო“. გასაოცარია, სად ამოიკითხა მან ასეთი სიბრძნე, ან რამ მისცა ამის საფუძველი. განა თვით არჩილი არ ამბობს: „ზოთა ზის სიბრძნის ეტლზედა, თავსა მით ათინათინებსო“, სწორედ რუსთაველი მიაჩნია არჩილს თავის დიდ წინაპრად და დამმოძღვრებლად.

„გრძელი სიტყვის შემოკლება რუსთველისგან მერგო წილადო“, — მოკრძალებით აცხადებს არჩილი. ეს არის წინააღმდეგობა? რუსთაველთან დაპირისპირება? „არჩილიანის“ ზერელე გადაფურცვლაც კი საკმარისია, რომ არა თუ წინააღმდეგობა, არამედ სწორედ რუსთაველის აღიარება და მისადმი თაყვანისცემა ამოიკითხო არჩილის ყოველ სტრიქონში. მით უფრო გაუგებარია ასეთი დებულება: „არჩილის გაბაასება“ ემსახურება რუსთველის იდეების გაბათილებასო“, რუსთაველის ჰუმანისტური იდეების გაბათილება არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანის წინაშე არ დასმულა და არც დაისმება, და რაღა არჩილი, ჩვენში განმანათლებლობის ერთ ერთი ფუძის დამდები გაწირა ასე სასტიკად შ. ადეიშვილმა და სწორედ მას მიაწერა ეს, რბილად რომ ვთქვათ, ბრალდება. ზემდეტად მიგვაჩნია იმაზე საუბარი, თუ რამდენად შესაძლებელია, ან რა საჭიროებაა იმისა, რომ იოტისოდენად ცივილიზებულ ქვეყანაში ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდეს მოთხოვნილება „რუსთაველის იდეების გაბათილებისა“, ხოლო რაც შეეხება არჩილს, ის სწორედ რუსთველურ ტრადიციებზე აღზრდილი და მისი იდეების დამკვიდრებელი და განმგრძობია. არჩილის შემოქმედებაში ჩამოყალიბებული მაღალი ჰუმანისტური პრინციპი: პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების დაცვის, სინამდვილესთან დამოკიდებულების პრობლემა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონცეპცია, გონების კულტის წინ წამოწევა, რთული სოციალური და ეთიკური პრობლემები სწორედ რუსთველური პოზიციის გამოვლენაა. სწორედ რუსთველური ტრადიციების შემოქმედებითი განვითარებაა. ყოველივე ამის დაუნდობელობა და უგულებელყოფა მხოლოდ და მხოლოდ ახირებული თვითნებობაა.

შემდეგ წერილის ავტორი წერს: „არჩილი თანდათან უფრო გაბედულად ააშკარავებს იმას, რაც რუსთაველის პოემაში, მისი აზრით, **ნამდვილად აღმაშფოთებელია** (რა გონებგამჭრიახობაა, რუსთაველის პოემაში „აღმაშფოთებელი“ ფაქტებიც კი აღმოჩენილა) პირველ რიგში აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩაქსოვილია **ვერაგი პოლიტიკური სტრატეგია** (ესეც დიდებული მიგნებაა, — რ. ბ.): რუსთაველი გარეგნულად ვითომ უწყინარ ცხვარსა ჰგავს, ხოლო შინაგანად მტაცებელი მგელია“ (გვ. 141).

ვნახოთ რას ეყრდნობა ასეთი „განმაზოგადებელი დასკვნები?“ რითი ჩანს რუსთაველის „აღმაშფოთებლობა“, „ვერაგი პოლიტიკური სტრატეგია“, „მგლობა და ცხვრობა“. დამამშვენებელი ეპითეტების ამ კორიანტელის საფუძველს ქმნის „გაბაასებიდან“ ამოგლეჯილი ერთი სტროფი: „შინაგან მგელ მტაცებელი, გარ ცხვრის გმობია დაბასი“ (76). ხედავთ ამ ერთი სტროფის ღრმა ანალიზმა როგორი

ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲒᲡ

შორსმიმავალი დასკვნების გამოტანის საშუალება მისცა და რა უხვად შეამკობინა რუსთაველი. ჯობდა წერილის ავტორს ვიდრე ამ ერთ სტროფს ჩაეგდებოდა, თავიდან ბოლომდე დაკვირვებით წაეკითხა „გაბაასება“ და ეს სტროფიც უფრო გასაგები გახდებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ თეიმურაზი და რუსთაველი კამათობენ პრინციპულ საკითხებზე, ამყოვანებენ საკუთარ პოზიციებს, გემოვნებას. და ეს კამათი სერიოზულ, დარბაისლურ პაექრობასთან ერთად ეუმორულ პასაჟებსაც შეიცავს და ეს სილაღე, იუმორი, აბსოლუტურად შეუმჩნეველი დარჩა შ. ადეიშვილს.

კერძოდ, რუსთაველი უმაღლეს სიუზერენთან, ხელმწიფესთან დაპირისპირებისას შეაცრად იცავს სოციალური მდგომარეობის შესაბამის ეთიკას და დიდი თავმდაბლობით, მოკრძალებითა და აღიარებით მიმართავს მეფე-ბატონს (არჩილის სიდიადეა ისიც, რომ მან დამაჯერებელად დაიცვა და რეალისტურად დახატა ფეოდალური არისტოკრატიის ეთიკური პრინციპები). მეფე თეიმურაზისადმი რუსთაველი მისი მდგომარეობის შესაფერის მოკრძალებასა და დაქვემდებარებას აჟღერვნებს, მართლაც მშვიდად, უმანკოდ, **ცხვარივით** თვინიერად **შეჰყურებს** მეფეს, როგორც ეს ვასალს შეჰფერის, მაგრამ როგორც „პოეტურ ღირსებებს ეხება საკითხი, აქ რუსთაველი უკომპრომისოა, საკუთარი, მართლაც, დამსახურებული ღირსების შეგრძნებით იცავს თავის შეუვალობასა და აღიარებას: იგი არამცთუ მგელივით, არამედ ლომივით ბობოქრობს და აყალიბებს თავის პრინციპებს როგორც პოეტთა მეფე. ეს ორი თითქოსდა ერთმანეთის გამომრიცხველი და დამპირისპირებელი პრინციპი დიდი მხატვრული დამაჯერებლობით აქვს არჩილს შესანიშნავად ჩამოყალიბებული რუსთაველის პოეტურ პორტრეტში. ამ მთლიანობაში ვლინდება როგორც რუსთაველის სიდიადე, ისე არჩილის დაკვირვებისა და ხასიათის გამოქერწვის მომხიბვლელი უნარი. ეს არის და ეს.

შემდეგ ერთმანეთს მოჰყვება დებულებათა მთელი ჯაჭვი, რომელთა არსი ის არის, რომ რუსთაველი თურმე ათეისტია. რუსთაველს ათეისტად მონათვლა — ეს არის ეულგარული მოდერნიზაცია; ასეთ დასკვნამდე მისვლა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც ისტორიზმის პრინციპის უგულვებელყოფით ვერ ითვალისწინებს ეპოქის ნიშნდობლივ მოვლენებს. მით უფრო მოულოდნელია დასკვნა, რომ არჩილი რუსთაველს მიიჩნევს ათეისტად. არჩილს არც ერთ ნაწარმოებში არ დაუსვამს ეს საკითხი.

წერილის ავტორი ერთ მცდარ დებულებას ისე ბუნებრივად დადაჯაჭვავს მეორე **უფრო** მცდარ დებულებას, რომ შეცდომების მთელ სისტემას ქმნის და ამის გამო არავითარ უხერხულობას არ გრძნობს. რუსთაველს ათეიზმს მან ეთიკის საკითხები დაუკავშირა და კიდევ ერთი დაკვირვება შემოგვთავაზა:

„ვინც იცნობს ღვთისმეტყველების ამ იდეებს (წერილის ავტორს მხედველობაში აქვს თეოლოგიური დოგმები. რ. ბ.) ის მიხვდება, როდეს **დამნაშავეა რუსთაველი ამ იდეების უარყოფისა** და უგულებელუყოფისათვის, მისი ტარიელი და ავთანდილი **მოურიდებლად** აროვევენ ამ მოთხოვნებს. მართლაც, მისი ტარიელი და ავთანდილი არ იცავენ მაგალითად მოსეს ათ მცნებებს: ცრუობენ, კაცს ჰკლავენ, მეფეს და გამზრდელს ეურჩებიან და სხვ. მაშასადამე, არ არიან ღვთის მოშიში და მორწმუნენი (გვ. 143)“. ამაზე თქმულა, ენას ძვალი არა აქვსო, ქაღალდი კი სირცხვილისაგან არ წითლდებაო. ამიტომ ვთქვათ, დავწეროთ რაც მოგვეხსიათება! პატივცემულ ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ რუსთაველი არამცთუ იცნობს და არ უგულვებელყოფს ქრისტიანული მოძღვრების ძირითად დოგმებს, არამედ მას მთელი სიღრმით აქვს ათვისებული ეს მოძღვრება და არაერთგზის ეყრდნობა დიონისე არიოპაგელისა და მოციქულთა მოსაზრებებს.

განა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების მორალური პოზიციები სწორედ სიცრუის, ორპირობისა და გაუტანლობის წინააღმდეგ არ არის მიმართული? ნუთუ დაავიწყდა წერილის ავტორს რუსთაველური დამოძღვრება: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლად“. გასაოცარი უტიფრობაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს „სიცრუე“ დასწამო, მაშინ როდესაც ამ მანკიერი მხარის გმობით არის გამსჭვალული მთელი პოემა. „კაცი ცრუ და მოღალატე ხმს ლახვრითა დასაჭრელად“ რამ დაავიწყა ანდა ავთანდილის რაინდული სიტყვები: „ვჰგმობ კაცსა უგულანასა, ცრუსა და ღალატიანსა“.

რუსთაველის განქიქების გზაზე დამდგარი შ. ადეიშვილი საკუთარი თავის შენიღბვისა და პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიზნით არჩილს მიაწერს რუსთაველის მიმართ ცილისმწამებლურ მთელ რიგ ისეთ დებულებებს, რომლებიც არამცთუ ბრძენ არჩილს, არამედ არც ერთი დროის მჩხრეკელსაც კი აზრად არ მოსვლია.

კიდევ უფრო მეტი გაუგებრობაა შ. ადეიშვილის გამოკვლევის შემდეგ თავში — „არჩილის პოლიტიკური ბრალდებანი“ ანა რა „მარგალიტებია“ — აქ აკინძული:

წერილის ავტორი არც თუ ჯანსაღი ფანტაზიის წყალობით არჩილ მეფეს მიაწერს კიდევ ერთ საოცრებას: „არჩილის განზრახვა ასეთია, — წერს იგი — დაე, გავრცელდეს ეს პოემა ხალხში, ოღონდ უნდა შთავაგონოთ ხალხს, რომ ამ პოემის ოპტიმისტური იდეა მაცდურია, არ წარმოადგენს ჭეშმარიტებას, ხალხს უნდა სჯეროდეს, რომ ამქვეყნად მეფობს ბოროტება, რომ ამქვეყნად შეუძლებელია სიკეთე. ხალხს უნდა ჰქონდეს ღმერთისა და მეფეების შიში, მაშინ საქართველოში თავდებს არ ჰქონდათ ღმერთისა და მეფის შიში, ამიტომ უჭირდათ ქართველ მეფეებს მძლავრი ფეოდალური მონარქიის შექმნა. ამაში, მისი აზრით, **ბრალი მიუძღვის რუსთაველის პოემის ოპტიმისტურ იდეოლოგიას**“ (145 გვ.)) რის მოგონება არ შეძლებია ადამიანს! როდის, სად აქვს არჩილს ასეთი ბარბაროსული აზრი გამოთქმული? საიდან გამოაქვს შ. ადეიშვილს ასეთი დასკვნები. რა უფლებით, რის საფუძველზე მიაწერს არჩილს, ჩვენს ამ დიდ გამნათლებელს და ღვაწლმოსილ მეფე-პოეტს ამდენ უაზრობასა და უვიცობას!

მრავალთა შორის კიდევ ერთი ადეიშვილური მსჯელობით შევაწუხებთ მკითხველს: მას მოაქვს ერთი ცნობილი ნაწყვეტი ავთანდილის წერილიდან: „ყოველთა მზეებრ მოგვფინოს!... ვარდს არ ზრვიდეს, არ აჭენრდეს შემცოდესა ყველაკასა ვითა ცვილსა დაადნობდეს!“ (გვ. 168). ახლა ვნახოთ როგორ ანალიზებს შ. ადეიშვილი ამ სტროფებს: „აქედან ისიც ჩანს, რომ რუსთაველის აზრით ხალხის მმართველი უნდა იყოს გამოსული იმავე ხალხიდან, დაბალი წრიდან, როგორიც არის მონა შერმადინი. რუსთაველის ოპიტიმიზმი მოითხოვს ასეთ პოლიტიკურ წესრიგს საზოგადოებაში და არა თავადების თავაშვებულობას, როგორც ეს ეჩვენებოდა ქართველ მეფეებსა და მათ შორის არჩილსაც“ (146), კომენტარიც ამას ჰქვია! აბა ერთი მითხარით, რა აქვს საერთო რუსთველის ზემოთ მოყვანილ სტროფებსა და შ. ადეიშვილისეულ დასკვნებს? რასაკვირველია, არაფერი, გარდა ახირებულობისა; ავტორს ვერ გაუგია, რომ იქ სულ სხვა რამეზეა ლაპარაკი, კერძოდ, ტარიელის საძებნელად მიმავალი ავთანდილი თავის ვასალს ტოვებს ქვეყნის პატრონ სარდლად და ავალებს, რომ იყოს მზრუნველი, თბილი ყველა ერთგულის მიმართ, ხოლო ცოდვილთა და ურჩთა მიმართ კი სასტიკი. ეს არის და ეს, ხოლო ავტორის მიერ წამოყენებული სოციალური პრობლემატიკა მისი საკუთარი კონცეპციაა და არავითარი აუცილებლობა არ იყო ამის საბაბად გამოტანა. მეტი თავშეკავებულობა უხერხულობიდან იხსნიდა მას.

წერილში თითქმის არ არის არც ერთი სტრიქონი, არც ერთი აბზაცი, რომ რაიმე ამსურდულს არ შეიცავდეს და ყოველივე მათი განხილვა მხოლოდ და მხოლოდ დაქანცავს მკითხველს, ამიტომ იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ მკითხველთა მოთმინებას და დავასკვნათ, რომ არჩილ მეფის მიმართ წამოყენებული უსაფუძვლო ცილისმწამებლური ბრალდებები და „ვეფხისტყაოსნის“ გაარუბაში დამშვებული უხეში შეცდომები მარტო წერილის ავტორს კი არ აყენებს მძიმე მდგომარეობაში, არამედ ყველა ჩვენგანს, რადგანაც მკითხველის წინაშე უნებურად წამოიჭრება კითხვა; ნუთუ ამდენად დაქვეითდა ჩვენი აზროვნება?, ნუთუ ასე უიმედოდ დაკარგნენდით? ეს კითხვა სავსებით ბუნებრივია, რადგანაც საქმე ეხება არა იმას, რომ ვიღაცას რაღაც მოსდის ფიქრად, არამედ იმას, რომ ასეთი ნაფიქრალი და ნაცოდვილარი რაღაცა მანქანებით მაინც ისტამბება!

აი ეს არის ყველაზე მძიმე ასატანი!

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ,

ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 2 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის ცენტრალური გაზეთები პირველ გვერდზე აქვეყნებენ დღეს ცნობას იმის შესახებ, რომ ყირიმში ერთმანეთს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ. ქვეყნდება აგრეთვე ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ნ. ჩაუშესკუს გამოსვლები ლენინის ორდენის გადაცემის ცერემონიაზე.

რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „სკინტეია“ წერს, რომ ორივე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომპარტიის თანამშრომლობის განმტკიცების აქტუალური საკითხები და გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა განაგრძონ მუშაობა სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და წარმოების კოოპერაციის განვითარებისათვის.

როგორც გაზეთი „რომინია ლიბერი“ აღნიშნავს, ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ნ. ჩაუშესკუს გადაუდებლად მიაჩნიათ ღონისძიებათა განხორციელება გამალებული შეიარაღების ალაგმისათვის, იმისათვის, რომ დაძაბულობის შენელების პროცესს მეენჭოს თანამიმდევრული, სულ უფრო დინამიკური და ღრმა ხასიათი.

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲕᲘᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კავშირისა და ლაოსის თანამრომლობათა წარმომადგენლებმა აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის რაიონში დიდი რადიოსადგურის ერთობლივი მშენებლობის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს, რომ საბჭოთა ინჟინრები შეიმუშავებენ მშენებლობის პროექტს, სსრ კავშირი გამოგზავნის საჭირო მასალებსა და მოწყობილობას. გარდა ამისა, ლაოსში ჩამოვა საბჭოთა სპეციალისტების დიდი ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სადგურის დამონტაჟებასა და მოწყობილობის გამართვაში, რათა ლაოსელ მშენებლებს დაეხმაროს ამ მნიშვნელოვანი ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარებაში.

ვიენტიანის მახლობლად რადიოსადგურის მშენებლობა საბჭოთა კავშირ-ლაოსის ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი დიდი ობიექტი გახდება, უთხრეს საკდესის კორესპონდენტს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნიკაციების, საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის სამინისტროში, უკანასკნელ წლებში ორი მომძლავრებული ეროვნული მჭიდრო ურთიერთობა განუწყვეტლივ მტკიცდება და ფართოვდება.

ლაოსში დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, თუ რაოდენ ნაყოფიერია ამ თანამშრომლობის წვლილი შეაქვს მას რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით ლაოსის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რამდენიმე მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტი. შენდება სხვა ობიექტებიც, მათ შორის დიდი ავტოსარემონტო ქარხანა, კალიუმის მაღაროს ჭაბუღანის პროვინციაში, ქვეყანაში უდიდესი ვიენტიანის ნავთობბაზა. სსრ კავშირი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ახალგაზრდა რესპუბლიკას ეროვნული ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის სისტემის განვითარებაშიც.

საბჭოთა ხალხის ძმური ყოველმხრივი დახმარება ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხისადმი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ორი სოციალისტური ქვეყნის მჭიდრო ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲗᲐ ᲫᲐᲦᲐᲓᲝᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). ოთხშაბათს პოლიციელთა რაზმები შეიჭრნენ მარსელის გემთსარემონტო ქარხანა „ატელიე დელა მედიტერანეში“ და გაყარეს იქიდან გაფიცული მუშები და მოსამსახურეები. მშრომელებმა საწარმოს საამქროები დაიკავეს ქარხნის დახურვისა და მისი პერსონალის დათხოვნის შესახებ მეწარმეთა გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

გამოქვეყნებულ განცხადებაში საფრანგეთის კომპარტიის საპარლამენტო ჯგუფმა გადაჭრით დაგმო პოლიციური ძალადობის ეს აქტი, როგორც „პროფკავშირულ თავისუფლებებზე სერიოზული ალაფვა“. გაფიცულ გემთშენებელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის პოლიციელთა გამოყენება ამხილეს ხელისუფალთა ანტიხალხური და ანტიეროვნულ ხასიათს, ნათქვამია განცხადებაში. შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით, გუშინ მარსელში გაიმართა საპროტესტო მანიფესტაცია პოლიციის თვითნებობის წინააღმდეგ.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). ოთხშაბათს პოლიციელთა რაზმები შეიჭრნენ მარსელის გემთსარემონტო ქარხანა „ატელიე დელა მედიტერანეში“ და გაყარეს იქიდან გაფიცული მუშები და მოსამსახურეები. მშრომელებმა საწარმოს საამქროები დაიკავეს ქარხნის დახურვისა და მისი პერსონალის დათხოვნის შესახებ მეწარმეთა გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

გამოქვეყნებულ განცხადებაში საფრანგეთის კომპარტიის საპარლამენტო ჯგუფმა გადაჭრით დაგმო პოლიციური ძალადობის ეს აქტი, როგორც „პროფკავშირულ თავისუფლებებზე სერიოზული ალაფვა“. გაფიცულ გემთშენებელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის პოლიციელთა გამოყენება ამხილეს ხელისუფალთა ანტიხალხური და ანტიეროვნულ ხასიათს, ნათქვამია განცხადებაში. შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით, გუშინ მარსელში გაიმართა საპროტესტო მანიფესტაცია პოლიციის თვითნებობის წინააღმდეგ.

ᲒᲝᲚᲘᲕᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲚᲐ-ᲞᲐᲖᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). დემოკრატიული და სახალხო ერთიანობის ფრონტის შემადგენლობაში შემავალი ბოლივიის კომპარტია მემარცხენე ძალების ამ ბლოკის სხვა პარტიებთან ერთად განაგრძობს ბრძოლას, რათა განამტკიცოს წარმატება, რომელიც მიმდინარე წლის 1 იულისს გამართულ საყოველთაო არჩევნებშია მიღწეული. ეს განაცხადა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ბოლივიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხორხე კოლე კუეტომ.

როგორც ცნობილია, ამ ბრძოლაში, რომელიც გაჩაღებულია ძირითადად ორ დაჯგუფებას — დემოკრატიული და სახალხო ერთიანობის ფრონტსა და პარტიათა კოალიციას — ეროვნული რევოლუციის კავშირს შორის, მემარცხენე ბლოკმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მაგრამ არც მას და არც სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს არ მოუპოვებიათ აბსოლუტური უმრავლესობა — 50 პროცენტი პლუს ერთი ხმა. ამ შემთხვევაში ბოლივიის კონსტიტუციის შესაბამისად პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს, რომლებსაც დაეკალათ სამოქალაქო მთავრობის შექმნა, ირჩევს პარლამენტი.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲒᲐ

ᲠᲝᲛᲘ, 2 აგვისტო. (საკდესის კორ.). ქრისტიანდემოკრატმა ფ. მ. პანდოლფიმ რესპუბლიკის პრეზიდენტს ა. პერტინის დაუბრუნა მანდატი ქვეყნის ახალი მთავრობის შექმნის შესახებ. ეს გადაწყვეტილება მან მას შემდეგ მიიღო, რაც უშედეგო გამოდგა მისი ცდები შეეპირებინა სოციალისტური პარტიის მხარდაჭერა, რომლის ნეიტრალურ პოზიციაზე დამოკიდებული იყო პარლამენტში ახალი კაბინეტის ნდობის ვოტუმის თაობაზე კენჭისყრის ბედი. სოციალისტური პარტიის ლიდერებმა აქ გამართულ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დაადასტურეს თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება ახალი კაბინეტის მეთაურის პოსტზე კანდიდატის ცდისადმი, რომ შეექმნა წინანდელი სამთავრობო კოალიცია ქრისტიანი დემოკრატების, სოციალ-დემოკრატებისა და რესპუბლიკელების შემადგენლობით.

როგორც პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავენ, იტალიის სოციალისტური პარტიის ასეთი პოზიციის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ სოციალისტები ცდილობენ არ დაუშვან, რომ ქრისტიან დემოკრატებს დარჩეთ მთავრობის მეთაურის პოსტი. სწორედ ასე შეაფასეს აქ იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე პარტიის პოლიტიკური მდივნის მოადგილის ჯ. სინიორილეს განცხადება, რომლის აზრით ქვეყანა მომწიფდა იმისათვის,რომ შეიცვალოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დაიკავოს იტალიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა.

კვლავ ზუსტ და კონსტრუქციულ პოზიციას ადგას იტალიის კომუნისტური პარტია, რომელსაც არაფრისენ განუცხადებია, რომ ოპოზიციაში ჩაუდგება ყოველ მთავრობას, რომელშიც მისი წარმომადგენლები არ შეელენ.

ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲘ ᲩᲐᲑᲐᲠᲓᲜᲔᲜ

ᲓᲔᲚᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას საააგენტო იუწყება, ინდოეთის ხელისუფლებას ჩაბარდა ასამდე შეიარაღებული ბანდიტი მიზოს არალეგალური ეროვნული ფრონტიდან, რომელიც მიზორამის ტერიტორიის გვერდით მოქმედებს. პოლიციამ ხელთ იგდო დოკუმენტები, რომლებიც მოწმობს, რომ ტერორისტები ინდოეთის ტერიტორიაზე ჩინეთიდან შემოგზავნეს. მათი ამოცანა იყო მოიწყოთ თავდასხმები ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლებზე.

ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲬᲧᲕᲔᲢᲔᲜ

ᲯᲐᲜᲝᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). ჩინეთს კვლავ ჯარები ეგზავნება ინდოეთ-ჩინეთის ტაქტიკა ჰყავს ფიტნამის საზღვრებთან და ყოველდღე აწყობს შეიარაღებულ პროვოკაციებს, ნათქვამია ვიეტნამის საინფორმაციო საგენტოს მიერ გამოქვეყნებულ კომენტარში. ვიეტნამის ტერიტორიის ხელყოფას, აღნიშნავს საააგენტო, თან ახლავს მუქარა, რომ „მეორედ ასწავლიან ჯაუას“, რაც ამ დღეებში განაცხადა პეკინში სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ გუმუმ ავსტრიელი ჟურნალისტების ჯგუფის მიღებისას.

დიდმპყრობელური ჰეგემონიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ამგვარი განცხადება, აღნიშნავს ვიეტნამის საინფორმაციო საააგენტო, გააკეთეს იმ დროს, როცა პეკინში გრძელდება მოლაპარაკება ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და ჩინეთის უფლებამოსილ მოწმერიგების შესახებ. მაგრამ ჩინეთის მხარე მოლაპარაკების მაგიდასთანაც უარყოფს ვიეტნამის წინადადებებს, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე. ამის ნაცვლად ვიეტნამს წინასწარ პირობად სთავაზობენ გადაწყვეტონ „ჰეგემონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ რაღაც პრობლემა, რომელსაც ჩინელები „საკვანძოს“ უწოდებენ, ხოლო საზღვარზე დაძაბულობა მათი აზრით მეორეხარისხოვანი საკითხია.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 3 აგვისტო. (საკდესი). ადმინისტრაციის ზეგავლენით წარმომადგენლთა პალატამ შეცვალა თავისი ადრინდელი პოზიცია და მოიწონა მთავრობის კანონპროექტი საწვავის ნორმირების შესახებ. კანონპროექტი პრეზიდენტს უფლებამოსილებას ანიჭებს ენერგეტიკული კრიზისის გამწვავების შემთხვევაში შემოღოს ნავთობპროდუქტების განაწილ





„თბილისური საღამოები“

ძველი თბილისის განუმეორებელ კოლორიტს უმღერიან მეტეხის ტაძრის კედლებთან საქართველოს პოპულარული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის წევრები, რომელთაც სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვახტანგ კიკაბიძე ხელმძღვანელობს. მეტეხის პლატოზე „ორერა“ ყოველდღე მართავს „თბილისურ საღამოებს“. მას მრავალი თბილისელი თუ ჩამოსული სტუმარი ესწრება.

● ●

სურათებზე: (მარცხნიდან) — მეტეხის პლატოზე გამოდის ანსამბლი „ორერა“; საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნანი ბრეგვაძე; ანსამბლის ვაჟთა ვოკალური ჯგუფი (მარცხნიდან): თეიმურაზ დავითაია, გენო ნადირაშვილი, ზურაბ იაშვილი და ვალერი ლომსაძე; ვახტანგ კიკაბიძე ასრულებს სიმღერას.

ო. თურქიას და ს. ედიშერაშვილის ფოტო.

სოფლის საკეთილდღეოდ

● ●

ფინანდალს შეემატება

ვის არ ხიბლავს ცივ-გომბორის მთების კალთებში მარგალიტივით ჩასმული სოფელი ფინანდალი, რომელიც თავისი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით მეტოქეობას უწევს ქალაქებს. შესანიშნავი კულტურის სასახლე, საავადმყოფო, სბავშვო ბაგა-ბაღები, საშუალო და სამუსიკო სკოლები, გაჩირაღდნებული, მოასფალტებული ქუჩები, ლამაზად ნაგები მშრომელთა ბინები, რადიო, ტელევიზორი — ასეთია დღევანდელი ფინანდალი.

ფინანდლის მოსახლეობას კიდევ ერთი სიკეთე ემატება. „მთავარგაზის“ სამმართველოს სამშენებლო ტრესტმა ფინანდალში დააპროექტა და გაჰყავს ბუნებრივი გაზი. სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს გურჯაანის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო (უფროსი — ლ. არაყიშვილი).

სამუშაოთა მწარმოებელი რ. ხოზბერუაშვილი, ტრაქტორამწეზე მომუშავე ვ. შოშიაშვილი, მემონტაჟე ო. ბაჩიაშვილი, მძღოლი თ. ბალუაშვილი, მუშა ლ. პაპუაშვილი და სხვები მუყაოთად შრომობენ. ისინი ყოველგვარ ამინდში გარიჟრაჟიდან დაბინდებამდე მუშაობენ, რათა რაც შეიძლება სწრაფად დაამთავრონ მილების გაყვანა, აღადგინონ და პირვანდელი სახე დაუბრუნონ გადათხრილ ქუჩებს.

— გეგმით აგვისტოს დამლევისთვის უნდა შემოვიყვანოთ სოფელში ბუნებრივი გაზი, — გვითხრა რ. ხოზბერუაშვილმა, — მაგრამ ჩვენი ბიჭები ყველაფერს ღონობენ, რომ 15 აგვისტოსათვის მოვამთავროთ სამუშაოები. ამ დროისათვის ჩვენ ერთ ხაზს (საშუალო წნევით) მოვიყვანთ ღვინის საწარმოო გაერთიანებაში, ხოლო მეორე ხაზს (დაბალი წნევით) მოსახლეობისათვის.

დ. გეგრიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ფინ შაბათი და კვირაკ!

ბურნაძეების სპორტული ოჯახი

ქავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს, 80 წლის გეოლოგ ალექსანდრე ბურნაძეს, მის მეუღლეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელ ეთერ ბურნაძეს, მათ ქალიშვილებს, თბილისის 180-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს ლიზიკოსს და სოფიკოს და უფროს ძმას ალექსანდრეს, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორს არმაზ ბურნაძეს ხშირად შეხვდებით „ლოკომოტივის“ სტადიონის სარბენ ბილიკებზე, საცურაო აუზში, ტანვარჯიშის დარბაზში.

— საერთო ვარჯიშები კარგი სპორტული ფორმის შენარჩუნების საშუალებას გვაძლევს, გვეხმარება ბავშვების აღზრდაში, — გვითხრა ალექსანდრე ბურნაძემ. — ჩვენი მიზანია ბავშვები და ჩვენც მათთან ერთად რაც შეიძლება უფრო დავუკავშირდეთ სპორტის მშვენიერ სამყაროს.

სურათზე: დღეს — ტურისტულ ლაშქრობაში!
გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

ჩვენს ალბომში

ინფორმაცია — 79

ფეიქართა მეგობარი

გორი. (საკ. კორ.) გორელ ფეიქართა მრავალათასიანმა ოჯახმა ამ დღეებში აღნიშნა თავისი ერთგული მეგობრისა და მეგზურის, მრავალტირაჟიანი გაზეთის „გორელი ფეიქრის“ დაარსების მე-20 წლისთავი.

პოეტი — მშრომელებთან

ამას ფინათ ხაშურის რაიონულ კულტურის სახლში რაიონის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ ქართველ პოეტს მუხრან მაჭავარიანს.

შეხვედრა გახსნა და პოეტს დაბადების 50-ე წლისთავი მიულოცა რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა მ. ლიპარტელიანმა.

მ. მაჭავარიანის შემოქმედებაზე ისაუბრა სახალხო თეატრის მსახიობმა უ. ჯობაძემ, პოეტს სიტყვებით მიმართეს და ლექსები წაიკითხეს სურამის საშუალო სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მ. ნადირაძემ, სარაიონო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ლ. მურჯიკნელმა, ბიბლიოთეკის გამგემ მ. თუთიასანმა, მწერლებმა ლ. სანიკიძემ, ა. აბშილავამ, ხაშურს მესამე საშუალო სკოლის პედაგოგმა, პოეტმა გ. მეტრეველმა, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტის ლექტორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა კ. ელჩიბეგაშვილმა და სხვებმა.

დასასრულ მ. მაჭავარიანმა მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს, რაიონის საზოგადოებრიობას და წაიკითხა თავისი ლექსები.

გ. სვანიძე.

ზღვას გამოსტაცეს

ფოთი. წლევანდელ ზაფხულში მალთაყვის პლაჟზე უამრავი ტურისტ-დამსვენებელია. მათს უხიფათო ბანაობას თვალყურს ადევნებენ წყალმაშველი საზოგადოების საქალაქო საბჭოს მაშველი სადგურის მორიგეები. ამ თვის დამდეგს კიდევ ერთი მამაცობის ფაქტი ჩაიწერა სადგურის საყურადღებო ჟურნალში. აი როგორ მოხდა ეს:

შუადღისას ზღვა აბობოქრდა, ტალღები ნაპირს აწყდებოდა. სწორედ ასეთ მომენტში და გადაწყვეტა ბანაობა ტურბაზის ხუთმა დამსვენებელმა. ისინი ერთმანეთისაგან რამდენიმე მეტრის დაშორებით შეცურდნენ ტალღებში. ზღვამ მობანავენი სხვადასხვა მიმართულებით გაიტაცა. განგაშის ატეხისთანავე უფროსი წყალმყვინთავი ვ. ლაითაძე, მყვინთავები— ა. კუზნეცოვი, ა. მარინი და ა. დუმბაძე ზღვაში შეიჭრნენ და განწირულთა გადასარჩენად თოკზე გამობმული რეზინის წრეები გადაისროლეს, მათ მიეშველნენ აგრეთვე მყვინთავები ვლ. ნიკიტენკო, მაშველი-მატროსი ტ. გიგიბერია და მედდა თ. ახობაძე.

სწრაფი, ერთობლივი მოქმედებით ხუთივე სტუმარი ტალღებს გამოსტაცეს და ნაპირზე გამოიყვანეს, სადაც პირველი დახმარება აღმოუჩინეს.

ბ. კომბახიძე.

ახალი მაღაზია

ხელვაჩაური. (საკ. კორ. მ. გოგრგილაძე). შარაბიძეების დასახლებაში ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მაღაზია, სადაც იყიდება როგორც სამრეწველო, ასევე პირველი მოთხოვნილების საქონელი.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

გოგონებმა გვასახელეს!

მოსკოვი. (მ აგვისტო, ტელეფონით). „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, როგორ გვასახელა წყალმხტომელმა ლ. ცოტაძემ ათმეტრიანი კოშკიდან ხტომის ფინალურ ეტაპზე. მან ტოლი არ დაუდო საქვეყნოდ აღიარებულ სპორტსმენებს და სპარტაკიადის ოქროს medaლი მიიღო. ფინალური ასპარეზობის ბოლო, მერვე ცდაზე მან თავის მთავარ მეტოქეს ი. კალინინას (რსფსრ) 5,48 ქულით აჯობა და, ცხადია, წარმატების იმედი გაუჩნდა. ფინალურ ეტაპზე კარგად იასპარეზა რუსეთის ფედერაციის მეორე წარმომადგენელმა ტ. ბელიაევამ. მისი ბოლო ნახტომი მსაჯებმა 68,04 ქულით შეაფასეს, მაგრამ ეს საკმარისი იყო მხოლოდ იმისათვის, რომ მას სამოლოდ მეორე ადგილი დაეკავებინა, კალინინა მესამე ადგილს დასჯერდა. ლ. ცოტაძის გამარჯვება იმითაც არის შთამბეჭდავი, რომ მან თითქმის ყველა ნახტომი წმინდად, უაღრესად დახვეწილი ოსტატობით შეასრულა და, ცხადია, საბოლოდ მაღალი შეფასებაც მიიღო — 554,76 ქულა. მაშ ასე, კიდევ ერთი სასპარტაკიადო ოქროს medaლი, წყალმხტომელთა შორის ნანატრი გამარჯვება და იმედი იმისა, რომ ამ სახეობის სპორტში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის 18 წლის სტუდენტს ლ. ცოტაძეს მომავალში სხვებიც ამოუდგებიან მხარში.

მხატვრულ ტანვარჯიშში მრავალმედალოსა შორის ი. გაბაშვილმა მოპოვებული მესამე სპრიზო ადგილის შემდეგ ცალკეულ სახეობებში იასპარეზა და ორი ოქროს medaლი მიიღო. მან ბაბათთა და ბურთით ვარჯიშში ყველა მეტოქე უკან ჩამოიტოვა და ამ სახეობებში უძლიერესის სახელი მოიპოვა. ბაფთით ვარჯიშში, გაბაშვილმა 19,3 ქულა დააგროვა და ერთი მეათედი ქულით ჩამოტოვა მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენი ი. დერიუგინა, ბურთით ვარჯიშში კი გაბაშვილმა იმავე დერიუგინას 0,05 ქულით აჯობა (19,45 ქულა). გურზებით ასპარეზობაში გაბაშვილძა ე. კომასთან (რსფსრ) გაიყო მეორე-მესამე ადგილები (19,45 — 19,45), სახტუნელათი ვარჯიშში კი დერიუგინაასთან (19,4 — 19,4). მაშ ასე, ი. გაბაშვილმა ლონდონში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი სპორტის ამ სახეობაში ერთ-ერთი უძლიერესია და მომავალში მისგან ახალ-ახალ წარმატებებს უნდა ველოდეთ. [illegible]ანეს მომხიბლავობამ, მისმა გამორჩეულმა სისწრაფემ და სინაზემ მოსკოვში ისეთი აღიარება ჰპოვა, რომ იგი „სპარტაკიადის მისსად“ (სპარტაკიადის თვალად) აღიარეს.

ჯგუფურ ვარჯიშში გაიმარჯვეს ბელორუსებმა — 72 ქულა. საქართველოს გუნდი (ნ. ბურძგლა, ნ. გულია, ქ. კუჭავა, ი. საკაშვილი, ნ. ფოცხიშვილი და ლ. დოლიძე) მეოთხე საპატიო ადგილზე გავიდა (40 ქულა).

მოკრივეთა ასპარეზობის ფინალური ბრძოლა საქართველოს წარმომადგენელმა ო. დეულინმა (48 კგ) გამართა კ. საფინთან (უაზახეთი). ეს ორთაბრძოლა საფინმა მოიგო და დეულინი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის medaლს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ, დებულების თანახმად, ოთხ მცირე წონითს კატეგორიაში საკავშირო ჩემპიონატიც ტარდებოდა. ამ წონებში სპარტაკიადის ჩემპიონები და სხვა პრიზიორები გაიკვეთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულთა ორთაბრძოლებით. 60 კგ და უფრო მეტ წონაში თამამდება სპარტაკიადის საპრიზო ადგილები.

მშვილდოსანთა ასპარეზობის მესამე დღეს ქალებმა განმეორებითი სერიები ჩაატარეს 70 და 60 მეტრზე სროლაში. ქ. ლოსაბერიძემ 70 მეტრზე სროლაში ისევე, როგორც ამ დისტანციის პირველ სერიაში, 306 ქულა დააგროვა და საუკეთესოთა შორის მესამე იყო (პირველ სერიაში ამ მაჩვენებლით იგი მეოთხე ადგილზე იყო). 60 მეტრზე სროლაში მას არ გაუმართლა, მხოლოდ 308 ქულა დააგროვა და საუკეთესოთა შორის მეცამეტე ადგილს დასჯერდა. საერთაშორისო დისტანციაზე ექვსი სერიის შემდეგ მან 1893 ქულა დააგროვა და ამ ეამად იგი მესამე ადგილზეა. ლოსაბერიძეს წინ უსწრებენ ნ. ბუტუზოვა (უზბეკეთი) — 1909 ქულა და ზ. რუსტამოვა (ტაჯიკეთი) — 1900 ქულა. დღეს ქალები ბოლო ორ სერიაში (50 და 30 მეტრზე სროლაში) იბრძვიან საბოლოო წარმატებისათვის. საქართველოს დანარჩენი სპორტსმენები ჯერჯერობით შემდეგ ადგილებზე არიან: მეცხრამეტეზე — გ. რიჟამაძე (1798 ქულა), მეოცეზე — ლ. ტოპოროვა (1791), ორმოცდამეცხრეზე — ე. გოლუბოვა (1699).

ვაჟთა შორის კვლავ წინ არის ვლ. ეშვი (რსფსრ) — 1911 ქულა. საქართველოს გუნდის წევრებიდან ნ. მიქელაძე 1796 ქულით ჯერჯერობით მეოცე ადგილზეა, ვ. ტროპინი — მეორმოცეზე (1735), ა. კაპიტონოვი — ორმოცდამეცამეტეზე (1703), ხოლო ნოვოსელცოვი — სამოცდამერვეზე (1646).

ძიუდოისტთა ასპარეზობის შეხუთე დღეს პირველობისათვის იბრძოდნენ 71 კგ-მდე წონის ათლეტები. ამ კატეგორიაში საქართველოს სპორტული დელეგაციის ოირსებას იცავდა თ. ნამგალაური, რომელმაც პირველი შეხვედრა რაზდოლსკინთან (აზერბაიჯანი) გამართა. ეს ორთაბრძოლა, მართალია, ნამგალაურმა წააგო, მაგრამ ამის შემდეგ სანუგეშო ტურნირში სამი მეტოქე: ლენინგრადელი ნ. ტიტოვი, მოლდაველი ვ. პიგუზუ და მოსკოველი — მ. მუხამეტშინინი დაამარცხა და სპარტაკიადის ბრინჯაოს medaლს დაეუფლა. ამ წარმატების შემდეგ საქართველოს ძიუდოისტებმა ხუთდღიანი ასპარეზობის ჯამით ერთგვარად გაიუმჯობესეს მდგომარეობა და მერვე ადგილიდან მეხუთეზე გადაინაცვლეს — 72 ქულა. ჯერჯერობით წინ გვიწევენ რუსეთის ფედერაციის (158 ქულა), ბელორუსის (102), მოსკოვის (94) და უკრაინის (78) კოლექტივები.

აღსანიშნავია, რომ 71 კგ წონითს კატეგორიაში პარალელურად მოასპარეზე საქართველოს წარმომადგენელმა ვლ. კოდალოვმა მეორე ადგილი დაიკავა, სპარტაკიადის მეორე ადგილზე გასულ ვ. რაზდოლსკინთან გამმარჯვა და სსრ კავშირის ჩემპიონატში ვერცხლის medaლი მოიპოვა. ეს ის რაზდოლსკინი გახლავთ, რომელმაც სასპარტაკიადო ტურნირის პირველ ეტაპზე ნამგალაურს მოუგო.

სპარტაკიადა ფინიშის სწორზე გადიდა: 3 აგვისტოს იასპარეზეს ძიუდოისტებმა (65 კგ), კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა, წყალმხტომელებმა და მშვილდოსნებმა. 4 აგვისტოს ბოკრიკენი, ძიუდოისტები (60 კგ და აბსოლუტური პირველობა), ფრენბურთელები და წყალმხტომელები ამთავრებენ სასპარტაკიადო შეჯიბრებებს. 5 აგვისტოს კი მოეწყობა სპარტაკიადის საზეიმო დახურვა, რომელიც დამთავრდება საქართველოსა და მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდების ფინალური შეხვედრით.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე გვაცნობებს

უკანასკნელ სპორტს!

● **მშვილდოსნობა.** დამთავრდა სასპარტაკიადო შეჯიბრება მოისარ ქალთა შორის. პირველი ადგილი და სპარტაკიადის ოქროს medaლი წილად ხვდა უზბეკეთის გუნდის წარმომადგენელს ნ. ბუტუზოვას (2556 ქულა). ვერცხლის medaლს დაეუფლა ქ. ლოსაბერიძე (2528).

საერთო ჯამში საქართველოს მშვილდოსანთა გუნდმა (ქალებმა და ვაჟებმა ერთად) მეოთხე საპატიო ადგილი დაიკავეს.

სურათზე: ქ. ლოსაბერიძე.

● **კალათბურთი.** გამოვლინდნენ კალათბურთელთა ტურნირის გამარჯვებულებიც. ვაჟთა გუნდებს შორის სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ მოსკოველები, ქალთა გუნდებს შორის—ლატვიელები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

6 აგვისტო

პირველი პროგრამით: 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — ბავშვის საერთაშორისო წელი. მხატვრული ფილმი „მწარე ნაყოფი“ (ფ.), 18.10 — საგელევიზიო მუსიკალური ფილმი, 18.40 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.10 — მეღვინის ოთხასი გოგონა, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ქართული ფილმი“ — საიუბილეო კინოჩვენება, მხატვრული ფილმი „უკანასკნელი მასკარადი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — დოკუმენტური ფილმი „ნიღბის მიღმა“ (ა. ვასაძის დაბადების 80 წლისთავის გამო).

მეორე პროგრამით: 17.15 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ბედი“ II სერია (ფ.), 18.20 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ილინსკი მაიაკოვსკზე“, 18.55 — განცხადებები, 19.05 — გრიგოლ კოკილაძე.

7 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40—დილის ვარჯიში (მ.), 16.30—ქართული საგელევიზიო ფილმი —„პირველი კოზეტერი“ (ფ.), 17.00 — განცხადებები, 17.05 — ბავშვის საერთაშორისო წელი — მხატვრული ფილმი „ბატარა მეთაური“ (ფ.), 18.10 — სოციალისტური შეჯიბრების დღიური, 18.30 — ქართული ბალეტის ოსტატები — მარიამ ბაუერი, 19.15 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი). ტრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ჩვენი ლაშქარი“ — ამირანის ბიჭები (განმეორებით).

მეორე პროგრამით: 17.15 — ბუნების კარი (ფ.), 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.05 — თეატრი და ცხოვრება, 19.20 — მულტიპლიკაციური ფილმები.

8 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40—დილის ვარჯიში (მ.), 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.00 — განცხადებები, 17.05 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი — „ბედი ბედი“ (I სერია), 18.15 — ზაფხულის დღიურები, 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — პაიდნი — სიმფონიური კვარტეტი სოლ-მაჟორი, 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — სვერდლოვსკის ტელევიზიის პროგრამა, 21.40 — ქართული საგელევიზიო მხატვრული ფილმი — „მნო“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — შემოქმედებითი პორტრეტები — სპარტაკ ბაღაშვილი.

მეორე პროგრამით: 17.15 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოკიბეზვის ბარათები“, 17.50 — განცხადებები, 18.00 — ბალეტის საღამო, 18.45 — ქართული მხატვრული ფილმი „ჟუჟუნას მზითვი“.

9 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40—დილის ვარჯიში (მ.), 16.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ დოკუმენტური ფილმი — „იდეიდან — წარმოებაში“ (ფ.), 17.00 — განცხადებები, 17.05 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედი ბედი“ (II სერია), 18.25 — მუსიკალური შესვენება, 18.30 — კონცერტი „თქვენთვის, პატარებო“, 19.00 — საერთაშორისო დღიური, 19.15 — კადრები წყვეტენ ყველაფერს, 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, (ფ.), 20.30 — ბლომუსი (ფ.), 21.10 — ქართული საგელევიზიო მხატვრული ფილმი — „გოგიგა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ჩვენი ლაშქარი“ — ამირანის ბიჭები (განმეორებით).

მეორე პროგრამით: 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.50 — განცხადებები, 18.00 — საესტრადო კონცერტი, 18.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „აივანზე გასასვლელი კარი სახიფათოა“.

10 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40—დილის ვარჯიში (მ.), 16.30 — „კინომოზაიკა“, 17.00 — განცხადებები, 17.05 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი — „ჩემი ბედი“ (III სერია), 18.25 — საგელევიზიო მუსიკალური ფილმი, 18.40 — დოკუმენტური ფილმი „ოთხი გასროლა ორი უიარაღო ქალის მისამართით“, 19.00 — პაუზი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.30 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ჩვენს დიად სამშობლოში“, „სტუდენტების ციხესიმაგრე“ (ფ.), 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30—„ქართული ფილმი“ — საიუბილეო კინოჩვენება. მხატვრული ფილმი „ვინ შეაჯაზმავს ცხენს“, 21.45 — მულტფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სპორტული მიმოხილვა.

მეორე პროგრამით: 17.15 — ციკვავს მარინე გოდერძიშვილი, 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.35 — განცხადებები, 18.45 — მხატვრული ფილმი „ულვაშა ძიძა“.

11 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40—დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა — „ოლიმპიური ხასიათი“, „მწვრთნელები“ და „ფიზკულტურული სალამი“ (ფ.), 11.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 11.40— თქვენთვის, მშობლებო! (მ.), 12.10 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ (მ.), 12.40 — გრიგოლ ორბელიანი (განმეორებით), 13.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 14.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „დრო მარგო ფული რიდია“ (ფ.), 14.20 — მუსიკალური შესვენება, 14.25 — დღეს ფიზკულტურელთა საკავშირო დღეა (მ.), 15.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „თამაში, შთაგონება, იმედი“ (ფ.), 15.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 16.30 — „თბილისი და თბილისელები“, 17.40 — დოკუმენტური ფილმი „მოლოღინი“, 18.00 — ფეხბურთის ბაკური საბჭოთა კავშირის თასზე. ფინალი. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი). ტრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან (მ.), 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მზის ღიმილი“, 20.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წინამძღვართან“, 21.00 — „ბოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — ადგზური მელოდიები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საესტრადო გასართობი პროგრამა.

მეორე პროგრამით: 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.30 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეატრი უსინდისოდ ყოფნისა“, 19.40 — ქართული მხატვრული ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა“ (I სერია).

12 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40—დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა — „ოლიმპიური ხასიათი“, „მწვრთნელები“ და „ფიზკულტურული სალამი“ (ფ.), 11.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 11.40— თქვენთვის, მშობლებო! (მ.), 12.10 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ (მ.), 12.40 — გრიგოლ ორბელიანი (განმეორებით), 13.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 14.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „დრო მარგო ფული რიდია“ (ფ.), 14.20 — მუსიკალური შესვენება, 14.25 — დღეს ფიზკულტურელთა საკავშირო დღეა (მ.), 15.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „თამაში, შთაგონება, იმედი“ (ფ.), 15.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 16.30 — „თბილისი და თბილისელები“, 17.40 — დოკუმენტური ფილმი „მოლოღინი“, 18.00 — ფეხბურთის ბაკური საბჭოთა კავშირის თასზე. ფინალი. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი). ტრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან (მ.), 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მზის ღიმილი“, 20.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წინამძღვართან“, 21.00 — „ბოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — ადგზური მელოდიები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საესტრადო გასართობი პროგრამა.

მეორე პროგრამით: 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.30 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეიბერ ფინიანი“, 19.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ბატონ ფინიანი“ (I სერია).

ტელევიზია

4 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადის დღიური“ (მ.), 10.05 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“ (ფ., მ.), 10.20 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 10.50 — „კინომოზაიკა“, 11.20 — „დილის ფოსტა“, მუსიკალური პროგრამა (მ), 11.50 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ულვაშა ძიძა“ (ფ.), 13.10 — მოსწავლეთათვის — „დიდი გზის დასაწყისი“, 13.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 14.15 — „აფხაზეთის მუსიკის დღეები თბილისში“, 15.15 — „რკინიგზელის საკავშირო დღე“ — სტუდიაში ამირერგა ხანს გასტანს. ახლა აქაურებს არა აქვთ იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე დოვლათის უდანაკარგოდ დაბინავებაა.

კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელსაც 20 ივლისს მომხდარი ქურდობის თაობაზე საკითხი კრებასა და ბიუროს სხდომაზე 2 აგვისტოსაც არ ჰქონდა განხილული, ახლა მაინც ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ თითოეულ კოლმეურნეს გული შესტკიოდეს სახალხო დოვლათისთვის. ხოლო იმათ, ვინც ასე არ იქცევა, პასუხი მოეთხოვოს ჩვენი საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით.

ვ. ქასრაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

დანაშაული მოხდა, რატომ?

ყველას თვალწინ

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ მიმდინარე წლის 6 თვის შედეგების შეჯამების დროს წითელწყაროსა და გარდაბნის რაიონებს შორის გამარჯვებული ვერ გამოავლინა იმის გამო, რომ ერთგანაც და მეორეგანაც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გეგმები ვერ შესრულდა. ამასთან წითელწყაროს რაიონში გაუარესდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმე, რამაც მოსავლის აღებისა და დაბინავების დროსაც იჩინა თავი.

სახალხო დოვლათის დიდი რაოდენობით დატაცება მოხდა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში. სატვირთო ავტომანქანის მძღოლმა ს. ბოსტოღანაშვილმა, რომელიც პირველ ბრიგადაში გალეწილ მარცვალს კომბაინიდან საველე ქალაზე ეზიდებოდა, 1335 კილოგრამი ხორბალი მოიპარა.

როგორც ხელმრუდე მძღოლმა აღიარა, ქურდობა ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ბოსტოღანაშვილი ყოველდღე, ვიდრე კომბაინიდან კალომდე მიიტანდა თვალწმინდი აწონილ მარცვლეულს, ავტომანქანის ძარიდან ხორბლით ავსებდა ხან ერთ, ხან ორ ტომარას და ქარსაფარ ზოლში მალავდა, საღამოთი კი შინ მიჰქონდა.

მიჰქონდა ხალხით სავსე მანქანით, ოღონდ ტომრებს ზემოდან ბალახებს აფარებდა, რომ თვალში საცემი არ ყოფილიყო. ნაქურდალს ზოგი უთუოდ ამჩნევდა კიდეც, მაგრამ...

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კოლმეურნეობაში 200 კომუნისტი და 120 სახალხო კონტროლიორია, შესაძლოა მათგან ვინმესაც მოუწია მარცვლეულით სავსე ტომარაზე დაჯდომა, მაგრამ ქურდს ვერავინ შეეხება — ხალხის ქონებას შენთვის რატომ ითლიო. ვერც რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები და კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია დაიკვეხნიან დანაშაულის წყაროს მიგნებას, ვინაიდან საქმე შემოსული წერილის საფუძველზე აღიძრა.

ასე თუ ისე, ქურდი დაკავებულია და კოლმეურნეობას კუთვნილი დოვლათი დაუბრუნდა, მაგრამ, ვინ იცის, კიდევ რამდენმა ხელმრუდემ ისარგებლა იმით, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე — გ. ბიკაშვილი) და პარტორგანიზაციამ (მდივანი — ვ. ლეკაშვილი) მკის დროს არ გამოიჩინეს სიფხიზლე, მომთხოვნელობა, ანდა, ვინ უ